საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუჩთის გაფანა ყვეღა უკარჩისიბაზე უსაძაგღესია.

ხუთშაბათი, 17 მარტი. 2016 წ. №49 (7941), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

აჭარული რენესანსი

გაიხსნა საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი „IUHB“

103 პაციენტზე გათვლილ ჰოსპიტალში 400 ადამიანია დასაქმებული. სამედიცინო პერსონალი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი პროფესიონალებით დაკომპლექტდა.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს გვაქვს საშუალება, გავხსნათ ჰოსპიტალი, რომელიც არის კიდევ ერთი მაგალითი საქართველოსა და თურქეთს შორის პარტნიორობის, ძმობის და მეგობრობისა. ეს იქნება საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, სადაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ სტუდენტებსაც ექნებათ საშუალება, მიიღონ უმაღლესი ხარისხის განათლება. ჩემს ახალგაზრდობაში მქონდა ბედნიერება, მესწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ჩემი პირველი სპეციალობით ექიმი გახლავართ და დღეს ნამდვილად კეთილი შურით მშურს იმ ადამიანების, ვისაც ექნება საშუალება ასეთ სამედიცინო სასწავლებელში ისწავლოს“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას.

გიორგი კვირიკაშვილმა, ჰოსპიტალში მუშაობისთვის, მადლობა გადაუხადა თურქეთის მოქალაქეს ექიმ კარდიოლოგ იმედ მიქელაძეს.

ჰოსპიტალი „IUHB“ უმაღლესი ხარისხის, თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, რაც მოსახლეობას ზუსტი დიაგნოსტიკის ჩატარების და მაღალი ხარისხის ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის საშუალებას მისცემს. სამომავლოდ, საავადმყოფოს კიდევ ერთი ონკოლოგიური მიმართულებაც დაემატება.

ჰოსპიტალის მშენებლობისთვის 25 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. IUHB ერთ-ერთი პირველი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც პაციენტის უფლებების დამცველის ინსტიტუტი ამოქმედდა.

იწყება რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა

ბათუმში რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე დაესწრნენ.

„საყოველთაო ჯანდაცვა ჩვენთვის არის პრიორიტეტი, ის რომ ჯანდაცვა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ამავე დროს ხელმისაწვდომი საქართველოს ყველა მოქალაქისთვის კიდევ ერთხელ დასტურდება ამ ობიექტის გახსნით,“ – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმის მრავალპროფილური რესპუბლიკური საავადმყოფო 170 საწოლზე იქნება გათვლილი. ახალი საავადმყოფო თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით იქნება აღჭურვილი და პაციენტებს მაღალი ხარისხის მომსახურებას შესთავაზებს.

საქართველოში ყველაზე მაღალი - PORTA BATUMI TOWER

ბათუმში მრავალფუნქციური სასტუმრო საცხოვრებელი კომპლექსი „პორტა თაუერი“ (Porta Batumi Tower) შენდება.

მშენებლობის პროცესი გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დათვალიერა. ეს არის ერთ-ერთი ავანგარდული პროექტი და დღეს ყველაზე მაღალი შენობა საქართველოში. პროექტის განხორციელება კომპანია „სისთემ ინშაათს“ 70 მილიონი დოლარი უჯდება. თავისი დიზაინითა და კონსტრუქციით „პორტა თაუერი“ მსოფლიო დონის პროექტია, რომელიც აშენებულია უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სიახლენი

გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად კობა გვენეტაძის კანდიდატურა წარედგინა.

15 მარტს, ბუქარესტში HSP Europe™-ის დაჯილდოების ცერემონიალზე ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მასშტაბით საუკეთესო რეგიონალური ბანკნოტის ნომინაციაში „2016 წლის საუკეთესო რეგიონალური ბანკნოტი“ ლარის განახლებული ბანკნოტების სერიამ (20, 50 და 100) გაიმარჯვა.

6-7 რუბრიკა მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

ლადო პაპავა: პატრიარქი შრჩევს სტუდენტებს, რომ ილოცონ!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეხვდა. როგორც პაპავამ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, შეხვედრა პატრიარქის თხოვნით მოეწყო. როგორც ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, პატრიარქი დაინტერესდა, თუ რა სიტუაციაა უნივერსიტეტში. პაპავას თქმით, პატრიარქის რჩევაა სტუდენტებისადმი, რომ ილოცონ, ეს კვირა ხომ აღდგომის მძიმე მარხვაა, ამიტომ ლოცვა აუცილებელია.

◎ ახალი მოძრაობა

ხმა „სახალხო ხელისუფლებისა“

პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლება“, რომლის თავმჯდომარე ზურაბ კობიაშვილი გახლავთ, საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი, თუმცა კი, აქტივობით გამორჩეული ძალაა.

ამის საუკეთესო მაგალითი 16 მარტს მთავრობის კანცელარიასთან მისი ორგანიზებით გამართული ხალხმრავალი აქციაა, რომლის ლიტმოტივი საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების განახლება, საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში ჩასასვლელად სავიზო რეჟიმის გაუქმება, ტრადიციულ სავაჭრო ურთიერთობათა და სამამულო პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის აღდგენა იყო. აქცია საგანგებოდ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის დღეს დაამთხვიეს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პარტიის აქტივმა უკვე არაერთი შეხვედრა გამართა საქართველოს მრავალ მხარეში, მათ შორის აჭარაში, იმერეთში, კახეთში, ქვემო ქართლში. მათი კიდევ ერთი მთავარი მიზანი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ადგილობრივი სპეციალისტების უპირატესი დასაქმება გახლდათ. ყოველივე ეს, ფაქტობრივად, ხელისუფლების გვერდით და არა მისი ოპოზიციაში ყოფნას ნიშნავს, თუმცა, აქციის მონაწილეებმა მის მიმართ გარკვეული კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქვეს.

„ხალხი მოითხოვს რუსეთის ბაზრის გახსნას!“, „საქართველოს ნეიტრალიტეტი სტაბილურობის გარანტი იქნება!“, „ემსახურე ხალხს და არა უცხო ქვეყანას“! „აღდგეს სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან“, „პრეზიდენტო პუტინ, შეასრულეთ დანაპირები და გააუქმეთ ვიზები“, — ამ და სხვა ლოზუნგების ფონზე გამართულ აქციაზე პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლების“ სხვადასხვა მხარიდან ჩამოსულმა წევრებმა თავიანთი კუთხეების გასაჭირსა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებზე ილაპარაკეს. კერძოდ, აღინიშნა, რომ ხალხი ხელისუფლებისგან არა დეკლარაციებით ლაპარაკს, არამედ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს, მათ შორის მცოცავი ანექსიის პრობლემის გადაჭრას, ოსებთან და აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის გამართვას, ყოველგვარ კოჰაბიტაციაზე უარის თქმას, სამასრთლიანობის აღდგენას, დამნაშავე მოსამართლეებისა და პროკურორების დასჯას. გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქვეყანა არა შიგნიდან, არამედ ოკეანის გაღმიდან იმართება, ხელისუფლებაში ქართული წეს-ჩვეულებით მოაზროვნე ხალხი „ჩაწეულია“, მათი ადგილი კი უზნეო კოსმოპოლიტებს უკავიათ, რომ ხელისუფლებისა და ხალხის საქმიანობა და ზრახვები ერთმანეთს რადიკალურადაა აცდენილი, რომ ქვეყნის მოსახლეობა წლიდან წლამდე ღატაკდება, ქვეყნისთვის სამხედრო ნეიტრალიტეტის მნიშვნელობა, რომელიც ევროინტეგრაციის გზით განვითარებაზე უარის თქმას სულაც არ ნიშნავს, საბანკო-სამევახშეო უსამართლობისთვისთვის საბოლოო წერტილის დასმის აუცილებლობა.

ამ და კიდევ მრავალი მოთხოვნის ხელისუფლების მხრიდან გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლების“ წარმომადგენლებმა მსგავსი აქციების პერმანენტული გამართვის გეგმის შესახებაც განაცხადეს.

აქციის დასასრულს, მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„თქვენ ვალდებული ხართ, შეასრულოთ ხალხის მოთხოვნა — დაიწყოთ მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციასთან და მიიღოთ გადაუდებელი ზომები, რათა გაიხსნას რუსეთის სავაჭრო ბაზარი და გაუქმდეს სავიზო რეჟიმი!

საქართველოს ხელისუფლებამ მცოცავი ანექსიის შესაჩერებლად თავი დაანებოს უშედეგო ჩივილებს სხვადასხვა ორგანიზაციებში!

ჩვენი მოქალაქეებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით პირდაპირი კონტაქტი დაამყაროს ცხინვალთან, ხოლო პრობლემის დარეგულირებისთვის დაუყოვნებლივ მოლაპარაკებები გამართოს რუსეთის ხელისუფლებასთან!“

ოთარ ტურაგელიძე

◎ ნაცების დადგმული სპექტაკლი

საღ არიან ნიღბიანი ბანდიტები?

როგორც გუშინ ვიუწყებოდით, პრემიერ-მინისტრი მოუწოდებს ყველა მხარეს, მათ შორის ახალგაზრდებს, გამოიჩინონ კეთილგონიერება, რათა პროცესები გადავიდეს მშვიდ და ცივილიზებულ ფორმატში. გიორგი კვირიკაშვილმა დავალება მისცა განათლების მინისტრ თამარ სანიკიძეს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შეხვედრის ორგანიზება პარიტეტულ საწყისებზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და ხელმძღვანელ პირებთან, რათა შექმნილი პრობლემები უმოკლეს ვადებში გადაიჭრას. ასეთი შეხვედრები უკვე დაიწყო.

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სტუდენტური პროტესტი სრულიად მიუღებელ მოქმედებებში გადაიზარდა, შსს-მ მიიღო დავალება, სასწრაფოდ განმუხტოს ვითარება და გააძლიეროს უსაფრთხოების ზომები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ორ ნაწილად არიან დაყოფილი. სტუდენტების ერთი ნაწილი რექტორს მხრადაჭერას უცხადებს და მოუწოდებს, არ გადადგეს თანამდებობიდან, ხოლო თვითმმართველობის წევრები ლადო პაპავას გადაყენების მოთხოვნით შიმშილობის დაწყებას გეგმავენ. შიმშილობის დაწყებას ისინი აკადემიური საბჭოს კაბინეტში აპირებენ.

თსუ-ს სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრანტი, ნიკოლოზ მეტრეველი აცხადებს, რომ თვითმმართველობას საყრდენი აღარ ჰყავს და დასაკარგიც აღარაფერი აქვს. მისი თქმით, ერთადერთი გამოსავალია სიტუაციის ესკალაცია, რომ სტუდენტები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და სასწავლო პროცესი ჩაიშალოს.

— ჩვენ ვნახეთ, რომ უნივერსიტეტში დათარეშობდა გაურკვეველი დაჯგუფება, რომელთაც ნიღბები ეკეთათ. არაერთხელ მივმართე სამართალდამცველებს, რომ დროულად დაინტერესდნენ, ვინ არიან ეს ადამიანები. ჩვენ მათგან განსხვავებით, არც ნიღბები გვიკეთია და არც სახეს ვმალავთ. ჩვენი პროტესტი სამართლიანია და ჩვენ ამ ბრძოლას აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ, თვითმმართველობის რეფორმაც აუცილებლად შედგება.

ამ ეტაპზე ჩვენი მხრიდან არ დგას ვლადიმერ პაპავას გადაყენების მოთხოვნა. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს, მისი უნივერსიტეტში ყოფნა აუცილებელია. შექმნილი ვითარება ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში შედის. ოცი ბანდიტი შეჭრილი იყო კაბინეტში. მივმართავ სამართალდამცავებს, რომ აღადგინონ უნივერსიტეტში წესრიგი, სანამ რაიმე უბედურება არ დატრიალდა და მოაშორონ უნივერსიტეტს ნიღბიანი ბანდიტები“, — აღნიშნა ნიკოლოზ მეტრეველმა.

თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები ლადო პაპავას მიმართავენ, რომ რექტორის თანამდებობა არ დატოვოს, სტუდენტებს კი მეტი სიმშვიდისკენ მოუწოდებენ. მათივე თქმით, ლადო პაპავას გადადგომა უნივერსიტეტში დღეს შექმნილ სიტუაციას ვერ განმუხტავს. პროფესორი გიორგი ოთხმეზური აცხადებს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები ნაციონალური მოძრაობის მიერ არის მართული.

— ორ თვეში არის თვითმმართველობის არჩევნები, ახლა თავის გადარჩენა უნდათ, რომ განიმტკიცონ თავიანთი პოზიციები. არავითარ შემთხვევაში რექტორი არ უნდა გადადგეს. აკადემიური საბჭოს ხუთმა წევრა მოაწერა ხელი პაპავას გადადგომას. ეს ის ხუთი ადამიანია, რომლებიც ნაცმოძრაობამ მოიყვანა და დასვა პროფესორებად უნივრესიტეტში. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი პროცესი ოდესის გუბერნატორის და მასთან მიბმული პარტიის მხრიდან იმართება, რომელთა მიზანი ქვეყანაში სრული არეულობის შექმნაა და რისთვისაც არაფერს ერიდებიან, — აღნიშნა გიორგი ოთხმეზურმა.

რექტორის კაბინეტთან შიმშილობა დაიწყეს თსუ-ს უნივერსიტეტის პროფესორებმაც. როგორც მოშიმშილე პროფესორები აცხადებენ, ისინი შიმშილობას მანამ არ შეწყვეტენ, ვიდრე უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები არ დაუბრუნდება ჩვეულ რიტმს და თვითმმართველობის წევრები არ დატოვებენ რექტორის კაბინეტს.

თამთა ქარჩავა

მტკიცედ დეგ!

დედაუნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ლადო პაპავას

— ნურც გაფრინდება, ნურც მოფრინდება! —
ერთი გაუწყრა, სხვა მოეფერა...
ისე თენდება და მობინდდება,
ვერ ვხვდებით, რა ჰქნას ჭრელმა პეპელამ?!
ამიტომ უნდა ბინძურ ავგეოსს
დედატაძარი ჩასაყლაპავად;
— ფრთხილად!
სამსალა რომ ვერ გვაგემოს,
მტკიცედ დეგ, მტკიცედ, ლადო პაპავა!

ალექსანდრე შენგელია,
დედუნივერსიტეტის რიგითი კურსდამთავრებული

◎ ქართული ფოლადი საიმედოა!

რა სამშენებლო მასალებით შენდება ახალი კორპუსები

რა ხარისხის სამშენებლო მასალებს იყენებენ ქართული სამშენებლო კომპანიები და ზოგადად, რა ვითარებაა ამ ბაზარზე? თემის აქტუალობიდან გამომდინარე, „კომერსანტი“ მასზე მუშაობას აგრძელებს.

როგორც „კომერსანტის“ მიერ ორგანიზებულ სამშენებლო კომპანიების გამოკითხვამ აჩვენა, მშენებლები ერთმნიშვნელოვნად ნდობას უცხადებენ საქართველოში წარმოებულ ცემენტს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ არმატურაზე, რომელთან დაკავშირებითაც მშენებლებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და მათი ნაწილი მხოლოდ იმპორტირებულ, პირველ რიგში, უკრაინულ არმატურას იყენებს. მათი ინფორმაციით, ქართული არმატურის მრავალსართულიანი სახლების მშენებლობისთვის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. თუმცა, ქართულ არმატურას სრულ ნდობას უცხადებს ბაზრის ისეთი მსხვილი მოთამაშე, როგორიც m2-ია, ეს კომპანია მიმდინარე მშენებლობებს სწორედ ქართული არმატურით ახორციელებს.

რამდენად ხარისხიანია ქართული არმატურა — „კომერსანტმა“ ამის გასარკვევად სამშენებლო მასალების ლაბორატორიებს მიმართა.

სამშენებლო მასალების ლაბორატორია „ტორენტის“ ხელმძღვანელი ზაურ გოცირიძე აცხადებს, რომ სამშენებლო ბიზნესში მთავარი პრობლემა არის კანონის არარსებობა, რომელიც მშენებლობის პროცესში კომპანიებს მასალების ლაბორატორიულ შემოწმებას დაავალდებულებს. მისი თქმით, ასეთ დროს მასალების ლაბორატორიულად შემოწმება მხოლოდ მშენებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

მისი თქმით, იმაზე საუბარი, რომ ქართული არმატურა უხარისხოა, გაზვიადებულია, რადგან წუნიანი შესაძლოა, იმპორტირებულიც იყოს და ქართულიც. თუმცა, გოცირიძე ქართული არმატურის თავისებურებაზე მაინც საუბრობს და ამბობს, რომ შედუღების დროს ქართული არმატურა ტყდება, ამიტომ მასზე მშენებლობა სხვა ტექნოლოგიით უნდა მოხდეს.

„თუ მშენებელმა ეს ტექნოლოგია დაიცვა, მაშინ ქართული არმატურა ხარისხიანია და უსაფრთხო. უკრაინულ არმატურას კი ეს პრობლემა არა აქვს. რამდენად იცავენ დღეს მოქმედი სამშენებლო კომპანიები ქართული არმატურის შემთხვევაში ამ ტექნოლოგიას, ეს ცალკე თემაა და ეს ნამდვილად არ ვიცი“, — აცხადებს გოცირიძე.

— უხარისხო შეიძლება ქართული არმატურაც იყოს და იმპორტირებულიც — ამ განცხადებას კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის ხელმძღვანელი ვიტალი დვალიშვილი აკეთებს. მისი განმარტებით, არაკორექტულია იმაზე საუბარი, თითქოს ქართული არმატურით მშენებლობა არ შეიძლება. დვალიშვილი აცხადებს, რომ კომპანია რომელიც სერიოზულია და სერიოზული იმიჯის მქონეა, მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი არ ავალდებულებს, მიდის ლაბორატორიაში და არმატურის ხარისხს ამოწმებს, პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში კი პარტიას უკან აბრუნებს.

— ასეთი კომპანია ბევრია, მაგალითად, სამშენებლო კომპანია „ანაგი“, ის ჩვენი დამკვეთია და ყოველთვის ამოწმებს არმატურის ხარისხს. ყოფილა შემთხვევა, ქართულიც ყოფილა დაწუნებული და უკრაინულიც, — აცხადებს დვალიშვილი.

შეგახსენებთ, ქართული არმატურით ახორციელებს მშენებლობებს ქართული სამშენებლო ბაზრის ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშე, დეველოპერული კომპანია „m2“. ისინი აცხადებენ, რომ დამატებით ახდენენ არმატურის ლაბორატორიულ ტესტირებას სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ყოველ ჯერზე დამატებით ვრწმუნდებით, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული არმატურა მაღალი ხარისხისაა“ — აცხადებდნენ m2 -ში.

ქართული არმატურის მაღალ ხარისხზე საუბრობს შპს „ჯეოსთილის“ გენერალური დირექტორი საჯივი ბალაკრიშნა, რომელიც „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ „ჯეოსთილის“ მიერ წარმოებული არმატურით შეიძლება მაღალი შენობების შენება და „არაფრის ჩამონგრევა არ მოხდება“. მისი თქმით, ადამიანებმა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ უკრაინული ფოლადი უკეთესია, ვიდრე ქართული, უბრალოდ არ იციან ფოლადის წარმოების თავისებურებები.

სოფო ქსოვრელი

ᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ!

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ **მრავალი წინასაარჩევნო ეკონომიკურ-სოციალური დაპირებიდან რომ ბევრი არაფერი შესრულებულა, ამაზე არავინ დავობს. თუმცა იყო კიდევ ერთი დაპირება, რომელსაც ფინანსები კი არა, მხოლოდ მტკიცე პოლიტიკური ნება სჭირდებოდა!..**

რუსეთთან ურთიერთობების დალაგება — აი, ის დაპირება, რომლის ასრულებასაც ეკონომიკურ-სოციალური საკითხების ასრულებაზე არანაკლები იმედით ელოდა საქართველო, მაგრამ 4 წელიწადია, კარასინ-აბაშიძის უსახურ ფორმატს ვერ გასცილდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

არადა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპზე გასვლის შანსები 2008 წლის ომის შემდეგ საკმარისზე მეტი იყო!

დავსვათ რიტორიკული შეკითხვა — ვის უფრო მეტად სჭირდება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების, სულ მცირე ნორმალიზება და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, აშშ-ის, ანუ, ამერიკის შეშფოთებული შტატების მხოლოდ აღშფოთების იმედად მყოფ, ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს, თუ რუსეთს, რომელსაც სოხუმ-ცხინვალის გასაღები ჯიბეში უდევს?

პასუხი მარტივია — საქართველოს!

ჰოდა, პარადოქსია, აბა რა, რომ ამ მიმართებით იმპულსები, ინიციატივები ყოველთვის მოსკოვიდან მოდიოდა და არა პირიქით...

გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი ამ მიმართებით:

ᲯᲔᲠ კიდევ იმბეცილი სააკაშვილის ზეობისას, როდესაც რუსის ტანკები პერევში იდგნენ, 2008 წლის შემოდგომაზე, ჩვენი ბრძენი პატრიარქი მოსკოვს მიემგზავრება ჯერ კიდევ სტალინის დროს აღსაყდრებული რუსეთის პატრიარქის დაკრძალვაზე, სადაც მას ხაზგასმული მოკრძალება-პატივისცემით ხვდებიან რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და პრემიერი პუტინი, რომლებმაც კეთილი ნება გამოიჩინეს და ილია მეორეს პატივისცემის ნიშნად პერევიდან რუსის ჯარი გაიყვანეს, მაგრამ მალევე რუსის ტანკები უკანვე შემოგრიხინდნენ, რადგანაც ტუტუცმა სააკაშვილმა საკუთარ თავს მიაწერა ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ნაღვაწი(?!).

და ეს მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმის დასრულებამდე უკვე მესამე ვადით არჩეულმა ვლადიმერ პუტინმა, არაერთხელ განაცხადა, რომ მატყუარა, მიწაზე მხოხავ, ჰალსტუხჭამია სააკაშვილთან არავითარი ურთიერთობა არ ექნებოდა...

მეოცნებეთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აბაშიძე მყისიერად დაინიშნა საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობებში და იმედიც გაჩნდა, რომ ივანიშვილის ხელისუფლება გაბედულ ნაბიჯებს გადადგამდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ურთიერთობები აბაშიძე-კარასინის ფორმატიდან გამომდინარე ბორჯომ-მანდარინის თემას ვერ გასცდა — არადა, რუსეთ-საქართველოს პირველი პირების, ყოველგვარი წინაპირობების წაყენების გარეშე შეხვედრის შეთავაზებები პირადად ლავროვ-პუტინისგან საკმარისზე მეტი იყო!

ბოლოს, შარშან დეკემბერში, წლის შემაჯამებელ გრანდიოზულ პრესკონფერენციაზე, ვლადიმერ პუტინმა „მაესტროს“ შეკითხვაზე პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოსთან ნებისმიერ საკითხზე საუბრისთვის მზად არის, მაგრამ ცხინვალ-სოხუმთან ქართველებმა თავად და პირდაპირ მოილაპარაკეთ, რომლის ნებისმიერი შედეგი რუსეთისთვის მისაღები იქნებაო!

თავად მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამსაათიან ბრიფინგზე, რომელსაც მილეთის ქვეყნების ათას ხუთასამდე ჟურნალისტი ესწრებოდა, და იმ მცირეთაგან, რომელთაც კითხვის დასმის პატივი ერგოთ, საქართველოს ტელეკომპანია „მაესტროც“ იყო და ისიც, რომ ჟურნალისტთათვის გაწყობილ „ალაფურშეტზე“ მეგრულ-იმერული ხაჭაპურები დომინირებდნენ, მრავლისმეტყველი ფაქტი გახლდათ, მაგრამ...

იმავე დღეს აღნავლდნენ ჩვენი არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტები — პუტინს შეეშინდა, რომ ევროპა საქართველოს უვიზო რეჟიმს დაუწესებს და ამიტომ ალაპარაკდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შესაძლებლობაზეო?!

ამაზე დიდი სიბრიყვე გაგონილა?

თუმცა რატომ სიბრიყვე?

ეს შეგნებული მტრობაა საკუთარი ქვეყნისა, რადგან ჩვენი „ასოები“, რომელთა წარმომადგენლები ყველა საკვანძო სამინისტროებსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც კი არიან ჩანერგილები ე.წ. მრჩეველთა სახით, ოკეანის გაღმიდან უხვად დაფინანსებულნი, მათივე დირექტივებიდან გამომდინარე რჩევებს (წაიკითხე, ბრძანებებს) აძლევენ ჩვენს მინისტრებს — შეინარჩუნონ და გააღრმავონ რუსეთთან კონფრონტაციული რეჟიმი!

სულ ახლახან კვლავ დაიწყო საუბარი რუსეთ-საქართველოს პირველი პირების შეხვედრის აუცილებლობაზე, რასაც ამჯერად ნაცებიც კი იზიარებენ, ოღონდ ერთი წინაპირობით — თუ საქართველოს დეოკუპაციაზე იქნება საუბარი(?!).

დავიწყოთ იქიდან, რომ წინაპირობების წაყენება, როგორც წესი, ძლიერის პრეროგატივაა! და რით არის ძლიერი საქართველო, ზემოაღნიშნული ამერიკის **შეშფოთებული** შტატების **აღშფოთების** იმედით?

რუსეთთან მოლაპარაკებისას წინაპირობების წაყენების უფლებას საკუთარ თავს ევროპის ლიდერი სახელმწიფოები და თვით აშშ ვერ აძლევენ და საქართველო ვის დაჰკარგვია?

ასე იყო მინსკში, ე.წ. ნორმანდიის ოთხეულის მარათონული ღამის მოლაპარაკებისას და ასეა ახლაც — ყირიმის „ანექსიის“ შემდეგ ბარაკ ობამა რომ იქადნებოდა, პუტინს ხელს არ ჩამოვართმევ და რუსეთს სრულ იზოლაციაში მოვაქცევო, ეს სულელური განცხადება ეტყობა ისე გააკეთა მსოფლიო ლგბტ-პედერასტების მხარდამჭერმა ბარაკმა, რომ მსოფლიო რუკისთვის არ დაუხედავს, თორემ პლანეტის 1/6-ზე გადაჭიმული რუსეთის შესახებ ასეთ სიბრიყვეს არ იტყოდა!

კი, ბატონო, ეკონომიკურმა სანქციებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რუსეთის ეკონომიკას და ამის გამო სირიაში სამხედრო მოქმედებებისას რუსეთის ქანცის გაწყვეტის იმედი ჰქონდათ, რაც დასავლეთელი ნეოლიბერალების სამწუხაროდ არ გამართლდა ისევე, როგორც არ გაუმართლდათ იმედი, რომ რუსი ხალხი მასობრივად გამოვიდოდა წითელ მოედანზე და დაამხობდა პუტინის „დიქტატორულ რეჟიმს“. პირიქით, ზემორე ხსენებულის გამო ვლადიმერ პუტინის რეიტინგმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა რუსეთში! უფრო მეტიც, მისი პოპულარობა დღითი დღე მატულობს თავად დასავლეთშიც!

როგორც ცხონებული შტირლიცი იტყოდა, „ინფორმაცია დლია როზმიშლენია“. გთავაზობთ ცხელ-ცხელ გამონათქვამებს წერილის პათოსთან მიმართებაში:

საინფორმაციო სააგენტო „Реальные новости“-ს ა.წ. 9 მარტის ცნობით, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა:

„იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი არ შეწყვეტს სირიაში ალქაიდას შტოს მხარდაჭერას, სერიოზულად ვაპირებ, ბოლომდე მივიყვანო ნიკოლოზ მეორის დაწყებული საქმეები.

პირველი მსოფლიო ომის დროს ის ცდილობდა კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქრისტიანებისთვის დაბრუნებას, მაგრამ ბედმა უმტყუნა“.

Срочно! Путин, 7 марта: введём войска на Юго-Восток, если люди нас попросят!

BY ADMIN 08.03.2016 10:27

აქ უკრაინაზეა ლაპარაკი...

ჟურნალ Atlantic-თან ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ამბობს, რომ:

„უკრაინა აშშ-ის ძირითად ინტერესს არ წარმოადგენს, რუსეთი კი ყოველთვის ეცდება უკრაინაზე დომინირების შენარჩუნებას, რადგან უკრაინა რუსეთის ინტერესია“...

აი, ეს არის აშშ-ის რეალპოლიტიკა — ჯერ კიევის მაიდანზე „პერაშკებს“ არიგებდნენ, ქვეყანა დაშალეს და დაანგრიეს და ახლა თურმე უკრაინა აღარ აინტერესებთ?!

და იქვე:

„თუ ვინმე ვაშინგტონში ფიქრობს, რომ ყირიმის ან აღმოსავლეთ უკრაინის გამო რუსეთთან ომში უნდა ჩავერთოთ, მათ ეს ძალიან კარგად და მკაფიოდ უნდა ახსნან“, — თქვა ობამამ.

აი, ასე, როგორც იტყვიან, წერტილი და მძიმე...

ვის ვისი ეშინია, სირიაში გამოჩნდა — ბარაკ ობამა, გუშინწინ პუტინს რომ ხელს არ ართმევდა, გუშინ სირიაში რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას დათანხმდა...

ეგეც არ იყოს და თუ იმაზე ვთანხმდებით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები კრემლში დევს, წადი, შეხვდი პუტინს და ერთი ერთზე, რაზედაც გინდა ელაპარაკე. მაინცდამაინც წინასწარ, აფხაზებ-ოსების გასაგონად უნდა გაახმაურო თუ რაზე იქნება საუბარი პუტინთან?

ისე კი უნდა გვესმოდეს, რომ ის გასაღები, რომელიც კრემლში დევს, არც ისეთი ჯადოსნურია, რომ პუტინმა რომც მოინდომოს და ხვალ სოხუმ-ცხინვალს საქართველოში დაბრუნება უბრძანოს, აფხაზები და ოსები მუხლჩოქვით მოფორთხდებიან და ქართველი ჯარისკაცების ბათინკებს დაუწყებენ ლოშნას!

ჩვენ სოხუმ-ცხინვალში კი არ უნდა დავბრუნდეთ, აფხაზები და ოსები უნდა დავიბრუნოთ. ეს კი დღეს და ხვალ, ანუ უახლოეს მომავალში ვერ მოხდება, რადგან მათთან ომების შემდეგ 3-4 თაობა გაიზარდა აფხაზებ-ოსებისა, რომელთვისაც სიტყვა ქართველი, მხოლოდ მოსისხლე მტერთან ასოცირდება!

ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება, დრო, როდესაც მათ მიმართ ეგრეთ წოდებულის, დე ფაქტო და ა.შ. დამამცირებელი სიტყვების ხმარებას უნდა მოვეშვათ. ერთი სიტყვით, ახალ რეალობას უნდა შევეგუოთ, რაც, სამწუხაროდ, იმას ნიშნავს, რომ იმ სტატუსით, როგორითაც ეს ავტონომიები შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში, თუ ვეღარასოდეს არა, დიდი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აღარ იქნებიან!

ის პოლიტიკოსი კი, ვინც იძახის, რომ სოხუმ-ცხინვალის უსწრაფესი დაბრუნების რეცეპტი ჯიბეში უდევს, ან რეგვენია, ან შეგნებული დემაგოგი!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ

ᲐᲚᲑᲐᲗ, პირველ რიგში, საკუთარ მიდგომებს უნდა მიაქციონ ყურადღება, — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას საქართველოში ანტირუსული რიტორიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

„ალბათ, პირველ რიგში, საკუთარ მიდგომებს უნდა მიაქციონ ყურადღება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის საფუძველზე აწყობილი ურთიერთობა იქნება ის, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება, რა თქმა უნდა, ურთიერთობების სრული ნორმალიზაცია. თუმცა, ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ არა ჩვენი საგარეო ვექტორის და არა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე, რა თქმა უნდა, აქ ნებისმიერი კომპრომისი გამორიცხულია. თუმცა, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ესკალაცია შევამციროთ და გადავიდეთ იმ რეჟიმზე, რომელ რეჟიმშიც უკვე შესაძლებელი იქნება პრობლემების მოგვარებაზე საუბარი“...

* * *

ᲙᲐᲠᲐᲡᲘᲜᲘᲡ განცხადება აგრესიულია, — ასე შეაფასა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას საქართველოში ანტირუსული რიტორიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, კარასინის განცხადებაში შიდა საქმეებში ჩარევის აშკარა ნიშნებია.

„კარასინის განცხადება აგრესიულია. თითქოსდა ავიწყდება კიდეც, რომ საქართველოს ტერიტორიები რუსეთის მიერ ოკუპირებულია. ვფიქრობ, გულწრფელობისგან შორსაა, ემოციისგანაც დაცლილია....

ᲧᲘ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

დასჭირდებათ კი ქართველ ნაციონალებს სააკაშვილის მეუღლის ტვინი?

ვფიქრობ, არაა საიდუმლო, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ადამიანი აშკარად გამოხატული ავანტიურისტული მიდრეკილებებით. ამის ნათელი დადასტურებაა მთელი მისი ბიოგრაფია, მაგრამ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ცხოვრებაში არის საქციელი, რაშიც ვერ შეედავება ვერც ერთი მისი მრავალრიცხოვანი მკილავებიდან.

საკითხი, როგორც თქვენ ხვდებით, შეეხება მიხეილ სააკაშვილის ქორწინებას, უფრო სწორად კი — შეუცდომელ არჩევანს მისი მეორე ნახევრისა. მომხიბლავი, გონებამახვილი, ჭკვიანი, ნიჭიერი ქალბატონი სანდრა რულოვსი თავისი ქცევით ზუსტად აწონასწორებს მეუღლის ფეთქებად, იმპულსურ ხასიათს. წარმოშობით ჰოლანდიელმა სანდრამ სწრაფად შეისწავლა ქართული ენა, გარკვეული დროის შემდეგ კი აითვისა მეგრულიც. ადვილად საუბრობს ამ ენებზე. შეუძლია, თუ დასჭირდება, წარმოთქვას სიტყვა, სადღეგრძელო.

თავისი მრავალრიცხოვანი ღირსებების წყალობით ახალგაზრდა ქალმა დაუფასებელი სამსახური გაუწია მეუღლეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველ და მეორე კამპანიებში. ის ყოველთვის მზად იყო, შეეშველებინა მისთვის მხარი კონფლიქტურ სიტუაციებში და ყოველთვის ლამაზად აკეთებდა ამას.

სანდრა რულოვსი შვილებთან

2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებზე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებისა და მიხეილ სააკაშვილის საქართველოდან წასვლის შემდეგ სანდრა რულოვსი, პირიქით, თავის უმცროს ვაჟიშვილთან ერთად დარჩა თბილისში, სადაც ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას და ზრდის შვილს. ამ ცოტა ხნის წინათ კი ცნობილი გახდა, რომ ქალბატონ რულოვსს შეუძლია, სათავეში ჩაუდგეს პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 2016 წლის პარლამენტის არჩევნებში.

მართალია, ეს ინფორმაცია ჯერჯერობით ოფიციალურად არ გახმიანებულა, მაგრამ, როგორც გათვითცნობიერებული ადამიანები ამტკიცებენ, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ადგილობრივმა ტელეარხმა „პირველმა“, რომელმაც ეს ინფორმაცია გაასაჯაროვა, გვაცნობა, რომ საარჩევნო სიის პირველ ათეულში ასევე მოხვდებიან ადვოკატი ოთარ კახიძე, სამართალმცოდნე ზაზა ბიბილაშვილი, თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ნიკა მელია, საქარველოს პარლამენტის ექს-თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი სერგო რატიანი და, სავარაუდოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ქადაგიძე, რომელთანაც თითქოს მოლაპარაკებას სიაში ჩართვის შესახებ აწარმოებს მიხეილ სააკაშვილი.

გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ძირითად აქცენტს გააკეთებს მჭიდროდ დასახლებულ და პოლიტიკურად აქტიურ რეგიონზე — სამეგრელოზე, რომელიც ყოფილი მმართველი პარტიისადმი ყველაზე ლოიალურად მიიჩნევა და გამოირჩევა განსაკუთრებული დამოკიდებულებით საქართველოს ყოფილი პირველი ლედის მიმართ.

ანი ნადარეიშვილი ქმართან - ბაჩო ახალაიასთან ერთად

ასევე ცნობილი გახდა, რომ სამეგრელოში მაჟორიტარულ არჩევნებში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ანა ნადარეიშვილმა — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელის თამაზ ნადარეიშვილის ქალიშვილმა და მეუღლემ სააკაშვილის დროს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასი, რომელიც, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, იხდის პატიმრობის სასჯელს.



ინფორმაცია, ვერაფერს იტყვი, მოულოდნელია. რა არის მასში სიმართლე და რა არის სიცრუე? ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა, რომელსაც მივმართეთ კომენტარისთვის თავისი პარტიის საარჩევნო სიის პირველი ათეულის შესახებ, საუბარი არ ისურვა, თუმცა, დარწმუნებით გვითხრა, რომ პრეტენდენტების შემადგენლობა აუცილებლად განახლდება. სამაგიეროდ პარტიის საერთაშორისო მდივანმა გიგა ბოკერიამ ინფორმაცია უმალვე უარყო და სავსებით გარკვეულად გვითხრა:

„მე ძალიან პატივს ვცემ ქალბატონ სანდრას, ის სანიმუშო დედაა და მეუღლე, აქტიური მოქალაქე, და ბევრი სხვა პარამეტრით გამორჩეული პიროვნება, თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ის ჩვენი საპარლამენტო სიის პირველი ნომერი იქნება, არ შეესაბამება სინამდვილეს“.

გიგა ბოკერია

ცოტა სიცხადე შეიტანა სიტუაციაში ანა ნადარეიშვილმაც, რომელმაც არ დაადასტურა, თუმცა, არც უარყო თავისი მონაწილეობა არჩევნებში, დაწერა, სხვათა შორის, ფეისბუქში, რომ რჩება თავისი პარტიის რიგით ჯარისკაცად და მზადაა, ამ როლით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ისტორიულ ბრძოლაში ევროპული და ერთიანი საქართველოსთვის.

ამ თემაზე ერთობ საინტერესო აზრი გამოთქვა სანდრა რულოვსმაც: **„მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ჩემი ბუნებითა და ხასიათით მე უფრო რეჟისორი ვარ, ვიდრე მსახიობი, რომელიც თავის როლებს ირგებს სხვების მიერ დაწერილი სცენარებით“.** როგორც ვხედავთ, ქალბატონი რულოვსიც არაფერს არ გამორიცხავს. უფრო მეტიც: ის გვაფრთხილებს, რომ არჩევნებში თავისი მონაწილეობისა და პარლამენტში არჩევის შემთხვევაში არ აპირებს, იყოს პაიკი ადგილობრივი პოლიტიკანების ხელში, არამედ წარუძღვება საკუთარ პოლიტიკურ ხაზს.

როგორს? შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ ყოფილმა პირველმა ლედიმ განვლილი წლების განმავლობაში დაგროვა შთაბეჭდილებები საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსების შესახებ და იცის, თუ რა უნდა ქნას და როგორ მოიქცეს. რას იზამ, ვისაც ყური აქვს — მოისმინოს! აი, როგორ აფასებს სიტუაციას ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის მრჩევლის პოსტი ეკავა მილიარდერის საქართველოს პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს: **„სრულიად ცხადია, რომ ქალბატონიი სანდრა რულოვსი ქართველი ამომრჩევლის თვალში ასოციირდება მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა და ამ მიზეზით, ბუნებრივია, არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის არჩევნებში. ამრიგად, სანდრა რულოვსის გამოჩენა საარჩევნო სიაში გულისხმობს არჩევნებში თავად მიხეილ სააკაშვილის პირდაპირ მონაწილეობას“.**

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ყოფილი პირველი ლედის შეყვანით საარჩევნო სიაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ცდილობს, კიდევ ერთხელ მოახვიოს ქვეყნის მოსახლეობას თავს თავისი ნება და ამოძირკვოს მისი ხსოვნიდან ის დანაშაულობანი, რომლებმაც უბიძგეს ქართველ ამომრჩეველს, უარი ეთქვა ამ პარტიისადმი ნდობაზე 2012 წლის პარლამენტის არჩევნებზე.

დაბოლოს, რამდენიმე დასკვნა

პირველი: მიხეილ სააკაშვილის პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სულაც არ ჩამოუშვია ხელი, როგორც ეს ზოგიერთს სურს, რომ წარმოგვიჩინოს, არამედ ემზადება, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს პარლამენტის მომავალ საშემოდგომო არჩევნებზე ოპონენტებს სხვა პარტიებიდან და გაერთიანებებიდან, უწინარეს ყოვლისა, კოალიციიდან „ქართული ოცნება“. თანაც გვახსოვდეს, რომ ექსპრეზიდენტს ყველაფრის ძაფები, რაც ხდება, თავის ხელში უჭირავს.

და მეორეც: საქართველოში პოლიტიკურ ავანსცენაზე სულ უფრო აქტიურად გამოდიან ქალები. და ეს ბუნებრივია, ვინაიდან გასული წლების განმავლობაში ქართველმა მამაკაცმა- პოლიტიკოსებმა ვერაფერი კარგით ვერ გამოიჩინეს თავი. ამ ფონზე ქალები გამოიყურებიან უფრო მიმზიდველად. თანაც ისინი პოლიტიკაში მოდიან არა როგორც თავისებური გენდერული დამატებანი მამაკაცი-პოლიტიკოსებისა, არამედ როგორც სავსებით რეალური და ძლიერი პოლიტიკური ძალა.

ირმა ინაშვილი

საკმარისია, დავასახელოთ პარლამენტის ყოფილი სპიკერიც ნინო ბურჯანაძე, ირმა ინაშვილიც — ლიდერი „პატრიოტების ალიანსისა“ — საქართველოში ერთობ გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაციისა, და თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრიც თინათინ ხიდაშელი. ახლა მათ შეიძლება დაემატოს კიდევ ორი არაორდინარული ქალბატონი ძლიერი ხასიათით, რაშიც დასარწმუნებლადაც, ამომრჩეველს საქართველოში რამდენიმე შესაძლებლობა უკვე ჰქონდა.

ვადიმ ანასტასიადი

◎ მომავლის ფინანსები

ტრადიციული საბანკო

ეკონომიკური ფორუმები, რომლებიც ყოველწლიურად მსოფლიოს მრავალ კუთხეში იმართება, დიდ როლს ასრულებენ როგორც თეორიული აზროვნების და ანალიზის განვითარებაში, ასევე პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნოლოგიების დახვეწაში. ერთი ასეთი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ეკონომიკური ფორუმის გამართვის ადგილია შვეიცარიული კურორტი დავოსი, რომელიც ცოტა ხნის წინათ დასრულდა. მსოფლიოს პოლიტიკური ფინანსური და ეკონომიკური ელიტის დავოსური შეხვედრები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს უკლებლივ ყველა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, მასზე მრავალი საგულისხმო განცხადება კეთდება ხოლმე.

ასე იყო ამ ჯერზეც, როცა მსოფლიოში უდიდესი საგადასახადო სისტემის „ფეიპალის“ (PayPal) გენერალურმა დირექტორმა **დენ შულმანმა** განაცხადა, რომ **უახლოეს ხუთ წელიწადში ფინანსები იმაზე შეუდარებლად მეტად შეიცვლება, ვიდრე ეს ბოლო თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოხდა.** ეს განცხადება მან დავოსში, სესიაზე „ფინანსების ტრანსფორმაცია“ გააკეთა და მისი აზრი მსოფლიოს უკლებლივ ყველა წამყვანმა ფინანსისტმა და ბანკირმა, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტმა **ქრისტინ ლაგარდმა** გაიზიარა. მისი თქმით, **ახალგაზრდები, მართალია, საბანკო ოპერაციებს კი აწარმოებენ, მაგრამ თავად მათ განყოფილებებში სულ უფრო ნაკლებად დადიან, რადგან ამ ოპერაციებს სხვა არხებისა და აპლიკაციების გამოყენებით ასრულებენ, რაც ოპერაციონისტების უშუალო მონაწილეობას არ საჭიროებს.**

— ეს კი, რა თქმა უნდა, ახლო მომავალში არაერთი ტრადიციული ბანკის ბიზნესს შეარყევს, — დასძინა სსფ-ის ხელმძღვანელმა.

საქმე ის არის, რომ **მიმდინარე ხარჯის შესამცირებლად, ბანკები და კომპანიები სულ უფრო ფართოდ იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, რაც, ამავდროულად, რისკების მართვაშიც დიდად ადგებათ.** ამ დარგმა „ფინტექსის“ სახელწოდება მიიღო და ბოლო ორი წლის მანძილზე უსწრაფესი ტემპით ვითარდება: ამ სფეროში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ამ ხნის მანძილზე თითქმის გაათმაგდა (!).

ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი „დოიჩე ბანკის“ (Deutsche Bank) თავკაცის **ჯონ კრეინის** პროგნოზით, რომელიც ასევე წამყვან ეკონომისტთა და ფინანსისტთა უმრავლესობამ გაიზიარა, **უახლოეს ათ წელიწადში ნაღდი ფული მიმოქცევაში აღარ იქნება, რის მიზეზები, უწინარესად, მისი სიძვირე და არაეფექტიანობაა, ასევე ისიც, რომ იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩრდილოვან ეკონომიკაში.** მსოფლიოში ფინანსური ოპერაციების 85 პროცენტი ჯერ კიდევ ნაღდი ფულის ნიშნების გამოყენებით ხორციელდება, მაგრამ, უკვე საგრძნობია მისი „ციფრულ სამყაროში“ გადასვლა და მოხმარებიდან ფულადი ჩეკების თანდათანობით გაქრობა, რაც მობილური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის შედეგია.

— ამდენად, შორს არ არის ის დრო, როცა ნებისმიერ მომხმარებელს ხელთ სმარტფონი ექნება, რომელიც მთელი საბანკო განყოფილების ფუნქციების შესრულებას შეძლებს, — აღნიშნავს ბატონი კრეინი.

უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ მსოფლიოში ჯერ მხოლოდ 7 მილიარდი დოლარის ოდენობის ვირტუალური ვალუტა — ბიტკოინია გამოშვებული, რომლის ტრანზაქციებში გამოყენება მეტად მოსახერხებელია, მაგრამ მისი საყოველთაო გავრცე-

მფრინავი თეფში არა, მაგრამ... თითო აგური მაინც...

ᲛᲪᲘᲠᲔ წარმოების შექმნისა და განვითარებისთვის საჭირო ყველა საშუალებას მივმართე და საბოლოოდ, დიდი შრომითა და ინტელექტუალური ჯაფით მოპოვებული წარმატებების კვალობაზე, ფიასკო, იმედგაცრუებები და წვალებით გასტუმრებული ბანკის ვალები შემომრჩა. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემი ფიასკო არ არის: ქვეყანაში შემორჩენილმა ტექნიკურმა ინტელექტუალებმა, შესანიშნავი ცოდნისა და უნარების მქონე ადამიანებმა მფრინავი თეფში ვერა, მაგრამ ქვეყნისთვის თითო აგური მაინც გამოვიგონეთ და შევქმენით საკუთარი მატერიალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი, მაგრამ...

ჩვენს ბაზარზე ჩვენთვის ადგილი არ გამოჩნდა; არ არის ჩვენს სახელმწიფოში — ადგილობრივი მცირე და საშუალო წარმოების წახალისების რეალური ნება; არ არსებობს ბანკებში — ისეთი საწარმოო კრედიტები, რომლებიც რეალური ეკონომიკის განვითარებაზე, საკუთარი მოქალაქეების შრომითი ინიციატივებისა და აქტიურობის ხელშეწყობაზე, დასაქმების გაზრდაზე და ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაზე იქნებოდა მიმართული. საბოლოოდ, მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის ნებისმიერი სირთულე პირდაპირ ჩვენი მოსახლეობის ყოფაზე აისახება, იმ ადამიანების ყოფაზე, რომლებმაც უკვე მერამდენედ, საკუთარი რესურსები — სახლი იქნებოდა, შემნახველ სალაროში ცხოვრების მანძილზე დაგროვილი დანაზოგი, ემიგრაციაში მძიმე შრომის ფასად ნაშოვნი ფინანსები, მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა ჩადეს იმაში, რომ ცოტათი უფრო ღირსეულად ეცხოვრათ, საბოლოოდ კი ერთი და იგივე შედეგი მიიღეს: „ახეული ბიზნესები“, ვალები, ანდაც რაღაც გაუგებარი მანქანებით აორთქლებული საკუთარი დანაზოგები, ქონება და წართმეული უფლება — იშრომონ და ამ შრომით ქვეყანაც არჩინონ და საკუთარი ოჯახიც.

ახლა, იმ პროექტებზე, რომლებიც წამოვიწყე და რომლებიც საბოლოოდ, ჩემთვის ისეთივე მახე აღმოჩნდა, როგორშიც არაერთი ადგილობრივი მეწარმე და ბიზნესმენი გაება.

ბოლო დროს აქცენტი აგრარულ სექტორზე კეთდება. გამოცხადდა რამდენიმე პროგრამა, რომელთა მიზანიც მეწარმეთა და ფერმერთა ხელშეწყობაა: დაგვპირდნენ იაფ ფულს, ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე გასვლას, თუმცა, საბოლოოდ შემოთავაზებული პროგრამებით სარგებლობა ადგილობრივი მეწარმეებისთვის და ფერმერებისთვის არა მარტო სარისკო, არამედ არარეალურიც გამოდგა. ვინ და როგორ ისარგებლა ამ პროგრამებით, სხვა თემაა, ფაქტია, რომ მეწარმე, რომლისთვისაც ყველაზე სანდო და ერთგული პარტნიორი სახელმწიფო უნდა იყოს, საკრედიტო ან საკანონმდებლო მახეშია გაბმული.

ქვეყანაში არ არსებობს ვიწრო სპექტრის ინფრაწითელი სხივებით შრობის ტექნოლოგია, რაც გამოიყენება ხილის, ბოსტნეულის, საშენი მასალის მაღალხარისხოვნად დასამუშავებლად და შესაძლებელს გახდის ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზარზე.

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲘᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲡ!

ამ თემაზე გაკეთებული პროექტი პრემიერ მინისტრის აპარატს და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ორი-სამი წლის წინათ წარვუდგინეთ, მათ კი დელიკატურად მოგვიცილეს — ინვესტორები შემოიტანენ ამ ტექნოლოგიას და საჭირო არ არის ეროვნული ტექნოლოგიური პროექტების ბაზის შექმნაო.

შედეგი — არაკონდიცირებული, ადგილობრივი წარმოების ჩირები ბაზარზე; უხარისხო, ხშირად კი სახიფათო იმპორტული ჩირები სუპერმარკეტებში; დაბრეცილ-დახეთქილი ადგილობრივი ხის მასალა და უსაქმურობითა და ხელფას-დანამატებით გახვითქული ჩინოვნიკები სოფლის მეურნეობის, საწარმოო თუ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სფეროდან. „ინფრარედი“ გაუგიათ, მაგრამ, ინვესტორის იმედად რჩებიან, ასე უფრო ნაკლები რისკია, რა თქმა უნდა. ჯერ-ჯერობით ამ ტექნოლოგიებით შემოსული ინვესტორი თითქმის არ ჩანს, სამაგიეროდ, უხვად არიან იმ სფეროებში, სადაც იაფი და საეჭვო ფულის დიდი ოდენობით სწრაფად „მოხსნაა“ შესაძლებელი. თვით ბანკირებმა დაიფინანსეს ამ „ხელშეწყობით“ საკუთარი ბიზნესები.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲮᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐ, ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ, ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲝ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲨᲔᲕᲘᲗᲐᲕᲐᲖᲝᲗ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲗᲣ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ-ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲐᲓ.

ეს მსგავსია ისრაელის კიბუცების განვითარებისა და ეს ერთადერთი გზაა, რომ მცირე ბიზნესში დამზადებულმა ჩვენმა ნაწარმმა ევროპულ ბაზარზე გასვლა მოახერხოს.

ჩემით შევქმენი ასაწყობი კერამიკული ბუხრისა და გამათბობელი სისტემების საკვამური კერამიკული მილების საწარმოო ხაზი, რომელმაც თავის დროზე შემოსავალიც მომიტანა, რადგან გამოიყენეს იმ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაში, სადაც სამშენებლო ნორმებსა და უსაფრთხოების სტანდარტებს აქცევდნენ ყურადღებას. სხვათა შორის, ჩვენს მიერ მომზადებული კერამიკული საკვამური მილების სისტემა გაცილებით იაფი დაჯდა, ვიდრე მათი ევროპული ანალოგები. ამ სისტემის შექმნის კვლევით სამუშაოებში დეველოპერულმა სამშენებლო კომპანია „აქსისმა“ დიდი თანხა ჩადო წლების წინ. შედეგად, შევიმუშავეთ „ლეგოს“ ტიპის ქართული აგურისა და კერამიკული (ანუ თბოეკონომიური) სამშენებლო ბლოკის ტექნოლოგია. თუმცა, დანერგვამდე საქმე ვეღარ მივიდა იმ ცნობილი ამბების გამო, რაც ბიზნესს დამართეს წლების წინათ.

ასევე, არსებობს და საკვლევია აფუებული ფიქალის საშენი მასალის მიღების ტექნოლოგია, რომელსაც უდიდესი პერსპექტივები აქვს და მისი გამოყენება ფართოდ შეიძლება არა მხოლოდ ადგილობრივ სამშენებლო ინდუსტრიაში.

შედეგად, გაუმჯობესდება ახლადაშენებული შენობების ენერგოეფექტურობა, მშენებლობა გაიაფდება და ამავე დროს, მივიღებთ დასაქმებულ ადამიანებს და არა „ელიავას“ ბაზრობასა თუ მშრალ ხიდთან მდგომ გასაცოდავებულ დისკვალიფიცირებულ ტექნიკურ პერსონალს.

2008 წლის ომისა და კრიზისის შემდეგ ვაიუშველებელით შევინარჩუნე კერამიკული მილების, ასაწყობი ბუხრების და ქართული აგურის საწარმოო ხაზები, სადაც 20 ადამიანამდე მყავდა დასაქმებული. დღეს ერთადერთი პერსპექტივა მაქვს - ჯართად გავყიდო აღდგენილი შემორჩენილი დანადგარები და შევეგუო იმ აზრს, რომ სახელმწიფოში, რომელსაც ყველა ბრძოლაში გავყევი, ჩემისთანებისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. არადა, თუნდაც ამ მცირედის ბაზაზე შეიძლება ვეტერანთა თუ პრობაციონერთა დასაქმებისა და გადამზადების მცირე საწარმოს შექმნა სათანადო ხელშეწყობისას, მოგებას არ დავეძებ, ამდენი ნაშრომი მენანება.

თბილისი, და არა მარტო, მიაქვს ნაგავს.... მომეცით ეს სანაგვეები და გრანტი (ბანკის კრედიტი და „წარმოებულია საქართველოში“ არა, რა�ა! — ვერც იმუშავა და ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ამ პროგრამით სარგებელს მარტო მსხვილი, ბანკებს შეზრდილი ბიზნესები ნახავდნენ). არსებობს პიროლიზისა და კრეკინგის ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებით მიღებული იაფფასიანი საწვავი მეთანისათვის, შესაძლებელია დამატებითი მცირე თბოსადგურების ამუშავება, რომლებიც ჩაერთვებიან ქვეყნის ელექტრო სისტემაში. (ნედლეულად თვით პოლიმერული ნარჩენებიც კი გამოიყენება, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის პრობლემადაა ქცეული).

ყოველი ორგანული ნარჩენებიდან შეიძლება ბიოდიზელის მიღება და ქვეყნის ენერგეტიკით იმგვარი მომარაგება, რომ საბოლოოდ არ მოვსპოთ სასიცოცხლო გარემო.

თუმცა, ეს არაა ერთ წელზე და ბანკებზე ორიენტირებული თემები. მათ დამუშავებაში სახელმწიფოს მხარდაჭერა ვთხოვე, მით უმეტეს, რომ ჩემივე ძალებით და რესურსებით უკვე შექმნილი მაქვს თითქმის მზა საწარმო, სადაც თუნდაც პირველ ეტაპზე თავისუფლად დასაქმდება 20 ადამიანი და იმ პროდუქტს შექმნის, რომელზეც მოთხოვნაა ჩვენს საკუთარ ბაზარზე.

თუკი ქვეყნის შიგნით არსებული შესაძლებლობების ეფექტურ ათვისებაზე დაიწყებს სახელმწიფო ფიქრს, მაშინ აუცილებლად უნდა შეიქმნას გამოყენებითი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი, რომელიც გააერთიანებს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის, სხვა ტექნიკური მიმართულების ინსტიტუტების, მცირე საკონსტრუქტორო ბიუროების და მეწარმეების გამოცდილებებს და კოორდინირებას გაუწევს მათ კონკრეტულ ფერმერამდე თუ მეწარმემდე მიტანას პროექტისა და საწარმოო ხაზის სახით.

სხვის იმედად და ნაუცბათევი შედეგის მოლოდინად დარჩენას კი რაც უწერია, უკვე ვნახეთ!

ეს მხოლოდ ბიზნესი არააა....

მალხაზ ჩემია,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეწარმე, აფხაზეთის ომის ვეტერანი.

◎ მომავლის ფინანსები

სისტემის დასასრული?

ლება, მხოლოდ მცირე დროის საქმეა. სსფ-ის პრეზიდენტი ქრისტინ ლაგარდი ამას ხაზგასმით აცხადებს და აღნიშნავს, რომ იმის გარდა, რომ **ბიტკოინის გამოყენება ტრანზაქციებში ბანკების მიმდინარე ხარჯს ამცირებს, იგი ხელს უწყობს ფინანსური მომსახურების უფრო ფართოდ გავრცელებასა და გამოყენებას იქაც კი, სადაც საბანკო განყოფილებები არ არის.**

ამას მნიშვნელობა იმ მხრივაც აქვს, რომ ფინანსური კომპანიების მიერ გამოსაყენებელი მონაცემთა მოცულობა უსწრაფესი ტემპით იზრდება, ამიტომაც **ოპერირების ელექტრონულ და ციფრულ სფეროში გადასვლა დროის უპირობო მოთხოვნილებაა.** ფინანსისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ იმის მიუხედავად, რომ ფინანსისტები ჯერ კიდევ აქტიურად ცდილობენ მასობრივი კლიენტის ნდობის დაბრუნებას, რომელიც ბოლოდროინდელმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა დიდად შეარყია, მომხმარებლები მაინც თავს იკავებენ საფინანსო კორპორაციებისთვის ახალი მონაცემების მიწოდებას, რომელთა გარეშე ახალი საბანკო პროდუქტების შექმნა, არსებითად, შეუძლებელია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონ დენ შულმანის განცხადებით, **მომდევნო დიდი სტრესი, რომელსაც ფინანსური ბაზრები განიცდიან, იქნება არა რომელიმე, რაგინდ დიდი ბაზრის ჩამოშლა, არამედ თავად საბანკო სისტემაზე ჰაკერული შეტევა და ეს ჭეშმარიტი საშინელება იქნება, რომლის რისკს არც ერთი სტრესტესტი არ ითვალისწინებს.**

ყველაზე საგულისხმო მის განცხადებაში ისაა, რომ ამჟამად მსოფლიო თანამეგობრობა ახალი სამყაროს ზღურბლზე დგას, რომელშიც არსებობა კაცობრიობისგან ახალ აზროვნებას, მათ შორის, ფინანსური სფეროს რეგულირების ძირფესვიან შეცვლას საჭიროებს. თუ რამდენად შეძლებს საქართველოს საბანკო სისტემა ამ ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და რამდენად სწრაფად მოხდება ყოველივე ამის ტექნოლოგიური ადაპტაცია, უახლოესი წლების მანძილზე გამოჩნდება.

ᲝᲗᲐᲠ ᲗᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ რამდენიმე სტრიქონით

„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ კომპანია „ჯიპისის“ ყიდულობს

„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ (GHG) და საოფთიაქო ქსელმა — სს „ჯიპისიმ“ (GPC) მავალდებულებელი ხასიათის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოთა თანხმობის მოპოვების შემდეგ, „ჯიპისის“ 100%-იანი წილის მფლობელი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ გახდება.

ფარმაცევტული კომპანიის შესყიდვა „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ სტრატეგიის ნაწილია. აღნიშნული გარიგება „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ შესაძლებლობას მისცემს, კიდევ უფრო ეფექტურად მიაწოდოს მოსახლეობას ჯანდაცვის სერვისები და უზრუნველყოს სამედიცინო სერვისებზე ფასების სტაბილურობა, რაც საბოლოოდ მომხმარებლებზე დადებით ასახვას ჰპოვებს.

გიორგი მთაწმინდელი

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება

XII საუკუნის დასაწყისიდან დავით აღმაშენებელმა გამოკვეთა საერო ხელისუფლების უფლებები სასულიერო სფეროში. ამ პერიოდის საეკლესიო ხელისუფლების საფუძველს საქართველოში მემამულეობა შეადგენდა. დავით აღმაშენებელი სამამულო მიწათმფლობელობის გაღრმავებაში ხედავდა ცენტრალური ხელისუფლების საფრთხეს. რასაკვირველია, იგი უძლური იყო, გზა გადაეღობა, დაემუხრუჭებინა ფეოდალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება, რათა სახელმწიფო მიწისმფლობელობას გაემარჯვა სამამულო-ფეოდალურზე.

მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე, როგორც საერთოდ, ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, მხოლოდ დიდგვაროვნებს ნიშნავდნენ. საეკლესიო თანამდებობებზე ხშირად არაკეთილსინდისიერი, შემთხვევითი პირები ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, ბევრჯერ ეკლესია ყოველგვარი უმსგავსობის წამომწყები ხდებოდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებსაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თჳთ სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც ვხედავთ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით“ იყვნენ დაწინაურებული სასულიერო თანამდებობებზე („რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“). იმავეს ადასტურებს დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწვეული დიდი საეკლესიო კრება, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში რუის-ურბნისის კრების სახელწოდებითაა ცნობილი.

საქართველოს საბოლოო გაერთიანება ეკლესიის, ამ დიდი ფეოდალური ძალის, მონარქიასთან ურთიერთობის მოუგვარებლად წარმოუდგენელი იყო. ეკლესიის ცალკეული დაწესებულებები ზოგჯერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ერისთავების დაცვას და შეფარებას კისრულობდნენ. ამით ეკლესია ხაზს უსვამდა (ზოგჯერ ებღაუჭებოდა) თავის პრიორიტეტს სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე.

სამღვდელოება ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებული საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე გამოდიოდა.

XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა ეკლესიის სწორ გზაზე დაყენება. იგი ბაგრატ IV-ის მიწვევით ათონის ივერთა მონასტრიდან 1060 წელს ჩამოვიდა საქართველოში. როგორც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან („ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“) ჩანს, ბაგრატ IV-ს მიუმართავს გიორგისათვის, იმიტომ შეგაწუხეთო, „რათა ნაკლულევანება და ცთომა უწესო აღმოჰფხვრა სრულიად სულთაგან ჩვენთა, დაფარული დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თვალ-უხვად განგვიმარტეო“. ამ ცნობის მიხედვით, ბაგრატ IV-ს კარგად ჰქონდა შეგნებული ეკლესიაში არსებული „ნაკლოვანება და ცთომა უწესო“. სწორედ ამიტომ გიორგი მთაწმინდელისათვის მას ფართო უფლებები მიუცია.

გიორგი მთაწმინდელმა აღმოაჩინა სათავე ქართული ეკლესიის დაცემისა და ბაგრატ IV-სათვის სრულიად მოულოდნელად, „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ“, რომლებიც ხელს კი არ უნდა უწყობდნენ უმსგავსობას ეკლესიაში, არამედ „გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა“ და მათ ნიშნავდეს თანამდებობებზე. გიორგი მთაწმინდელის მხილება მეფეს სწორად მიუჩნევია და მისი წამოწყებისათვის მხარი დაუჭერია. მიუხედავად ამისა, ბაგრატ IV-მ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება საეკლესიო სფეროში მაინც ვერ მოახერხა. სამეფო ხელისუფლებას იმ დროისათვის საამისო შესაძლებლობა არ ჰქონდა საგარეო ურთიერთობათა გართულების გამო. ამგვარად, გიორგი მთაწმინდელმა ვერ შეძლო ეკლესიაში არსებული უწესობანი მოესპო. ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც საქართველოს ტახტს გიორგი II განაგებდა, საერო და საეკლესიო დიდგვაროვნები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და უფრო მეტად დაუპირისპირდნენ სამეფო ხელისუფლებას. გიორგი II-მ მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. საქართველოს სახელმწიფოში XI საუკუნის მიწურულისათვის მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა. ამ მხრივ გადამწყვეტი ღონისძიება მხოლოდ XII საუკუნის დამდეგს იქნა გატარებული.

პირველი ქმედითი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, 1104 წელს დიდი საეკლესიო კრების მოწვევა იყო. კრების გადაწყვეტილებათა („ძეგლისწერის“) შესავალში აღნიშნულია, რომ კრება მოწვეული იყო „სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისა“. აქედან გამომდინარე, კრებას უწოდეს რუის-ურბნისისა. კრების მოწვევასა და მიმდინარეობას წარმართავდა დავით აღმაშენებელი. „ძეგლისწერა“ გვამცნობს, რომ კრება გაიმართა „ბრძანებითა... დავით... მეფისაჲთა“. არსენ ბერი მიმართავს დავით აღმაშენებელს „შესხმაში“: „რომელ მოსწრაფებით შემოკრება უბრძანე შენ“ (საეკლესიო კრებაზეა ლაპარაკი – **რ. მ.**). „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ ხაზს უსვამს, რომ „... რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარნი, მეუდაბნონენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა“ (დავით აღმაშენებლისა – **რ. მ.**). ე. ი. აშკარაა საქართველოს მეფის როლი (ეს საქმის შემდგომი მიმდინარეობითა და შედეგებითაც ჩანს) საეკლესიო კრების მოწვევა-მიმდინარეობაში. მეფეს დრო და ადგილი თვითონ შეურჩევია. ერთიცა და მეორეც მისთვის მოსახერხებელი და სასურველი ყოფილა. შემთხვევითი არ არის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მინიშნება, რომ კრება მეფემ დანიშნა, „დროსა და ადგილსა ჯეროვანსა“. ისტორიკოსის შემეცნებაში ჯეროვანი დრო და ადგილი სწორედ ისაა, რომელიც საქართველოს მეფისთვის იყო მისაღები და მოსახერხებელი. და ეს ადგილი იყო შიდა ქართლის სანახები რუისისა და ურბნისის საეპისკოპოსოთა მახლობლად. აღნიშნული კრება საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა იყო, იგი მსოფლიო კრების დონეზე ჩატარდა.

ნიშანდობლივია, რომ მწიგნობართუხუცესი გიორგი მხარში ედგა დავით აღმაშენებელს მის სახელმწიფოებრივ და კულტურულ საქმიანობაში. იგი ქვეყანაში მიმდინარე ყველა დიდ გარდაქმნაში მეფის თანამზრახველი და თანამდგომი იყო. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუის-ურბნისის კრების მუშაობაში.

კრებას ესწრებოდნენ: გიორგი II (იგი „ძეგლისწერაში“ მეფეთ-მეფედ და ყოვლისა აღმოსავლისა და დასავლისა კესაროსად არის მოხსენიებული), ბიზანტიის დედოფალი მართა (გიორგი მეორის და) და სხვ.

საეკლესიო კრებამ განიხილა იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. პირველი რიგის ამოცანად დაისახა ულირს თანამდებობის პირთა გადაყენება („განკუეთა“).

დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა გათვლილი ის სიძნელეები, რომელიც კრების მსვლელობას წინ გადაეღობებოდა. ბუნებრივია, ის პირები, ვისაც თანაბდებობები ეკავათ, არც ისე ადვილად დათმობდნენ თავიანთ საპატიო მდგომარეობას.

დიდი საეკლესიო კრება „მრავალი დღე“ გაგრძელებულა. იქ წამოჭრილი საკითხების პრინციპულმა ხასიათმა და მათი გადაწყვეტის სირთულემ განაპირობა კრების სამუშაო დღეთა სიმრავლე. ყველა პრობლემა დაწვრილებით („გამოწულილვით“) განუხილავთ და გადაუწყვეტიათ: „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“.

კრებამ საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მეფის დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, მის მომხრეთა ხაზი გაატარა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები, რომელსაც ეწოდება „ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ“.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წარმატებით ჩატარებისა და მისი დადგენილებების დიდი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ თანამედროვეებს. „ძეგლისწერა“ საეკლესიო კრებაზეა მიღებული და ამდენად იგი გამოხატავს ამ კრების მონაწილეთა უმრავლესობის აზრს. ეს უმრავლესობა კი კრებას, როგორც ჩანს, ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად სთვლიდა, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი საქრისტიანოსთვის. „ძეგლისწერა“ ჩამოთვლის მანამდე ჩატარებული ქრისტიანული ეკლესიის კრებებს (ნიკეის, კონსტანტინოპოლის, ქალდეკონისა და სხვ.), აღნიშნავს, რომ თითოეულ ამ კრებაზე მიღებული იქნა კანონები.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მეფის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა საერთოდ, „ძეგლისწერაში“ შედარებული ლია ბიზანტიის იმპერატორებთან (კონსტანტინე, თეოდოსი, მარკიანე, იუსტინიანე და სხვ.), რომლებიც თვითონ იწვევდნენ საეკლესიო კრებებს და სასულიერო ცხოვრების მოწესრიგებაზე ფიქრობდნენ.

საქართველოს ეკლესიაში სწორედ მსოფლიო კრებათა მიერ დადგენილი კანონების დაცვის საქმე ვერ იყო მოწესრიგებული. ამდენად საეკლესიო კრების წინაშე მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი იდგა. კრების მონაწილეებმა „..დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“. ვახუშტი ბაგრატიონიც ამასვე ადასტურებს: „განამტკიცეს 12 კრებათა დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოება“.

დიდმა საეკლესიო კრებამ „ძეგლისწერის“ სახით დააკანონა შემდეგი:

განკვეთა („უცხო-ვყვენით მღდელობისაგან“) ის პირები, რომლებიც „ვერღირსებით“ იყვნენ მოხვედრილი დიდ საეკლესიო თანამდებობებზე. მათ ნაცვლად კრებამ შეარჩია სხვა, უფრო ღირსეული პირები, რომლებიც ასაკითაც და თავიანთი საქმიანობითაც უფრო შეეფერებოდნენ ასეთ თანამდებობებს. ამ პუნქტში სამღვდელო პირთა ასაკის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ სხვადასხვა გზით „უასაკოებიც“ ინიშნებოდნენ მაღალ თანამდებობებზე. ეს „ძეგლისწერის“ შემდეგ მუხლშიაც ნათლად ჩანს.

დაკანონდა სამღვდელო პირთა ხელდასხმის წესი. განისაზღვრა ასაკი, რომლის უადრეს არ ეგებოდა საეკლესიო თანამდებობებზე ხელდასხმა. მაგალითად, 35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30 – მღვდელთათვის, 25 – დიაკონთათვის, 8 – წიგნის მკითხველთათვის.

საეკლესიო კრებამ აკრძალა ხელდასხმით ერთსა და იმავე დღეს ერთი თანამდებობიდან მეორე და მესამე ხარისხზე აყვანა. როგორც ჩანს, ეს „უწესოჲ წესი ჴელთ-დასხმათა“ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. კრებამ აუცილებლად მიიჩნია, რომ საეკლესიო იერარქიულ კიბეზე აღმასვლა უნდა მომხდარიყო ყველა საფეხურის საფუძვლიანად გავლის, გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდეგ.

სამღვდელოების მისწრაფება მექრთამეობისაკენ აშკარადაა გამოვლენილი კრების დადგენილების („ძეგლისწერის“) სათანადო მუხლში, სადაც საგანგებო ზომებია გათვალისწინებული ამ უმსგავსობის წინააღმდეგ: „ხოლო ქრთამისათვის

ურბნისი

ბაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41



როინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

და საფასისა, რომელსა მიიღებდნენ ჴელთდამსხმელნი ჴელთადასხმადთაგან... განჩინებად ვიკადრებთ ჩვენცა, რათა მოისპოს ეგეევითარი – იგი ეკლესიისაგან და აღიჴოცოს მღდელობისაგან“ და სხვ.

აიკრძალა მოხმარება, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი საეკლესიო (მათ შორის შეწირული) ნივთებისა. თუ ვინმე დაარღვევდა ამ კანონს, მას სასჯელი ელოდა.

აიკრძალა ეკლესიის გარეშე ნათლისცემა და გვირგვინის კურთხევა.

აიკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩჩჳლთა ქალ-ყმათა“. თუ მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დამოყვრება, ნება ეძლეოდათ პატარები დაეწინდათ, ხოლო დაქორწინება მხოლოდ განსაზღვრულ ასაკში იყო დაშვებული. ჯვარდასაწერი ქალი 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

კათალიკოსს და ეპისკოპოსებს დაევალათ, ქორეპისკოპოსებად „სჯულისა და საღთოთა წიგნთა მეცნიერი“ აერჩიათ, რათა უბიწოდ დაეცვათ ყველა საქრისტიანო წესი, „არარაი მათგანი განსცეს ქრთამისათჳს, არცარაჲ განყიდოს ვერცხლად“.

კრებამ დაგმო მონასტრებში მოძღვართა სიმრავლე (ზოგჯერ თურმე მათი რიცხვი ოცდაათსაც აღწევდა და ადგილი ჰქონდა მათ შორის უთანხმოებას, რასაც ხშირად შფოთი მოჰყვებოდა) და დაადგინა, რომ, როგორც წესი, მონასტერში ერთი მოძღვარი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ დიდ მონასტრებს ჰქონდათ ორი მოძღვრის ყოლის უფლება.

აიკრძალა მონასტრებთან ვაჭრობის (ბაზრობის) გამართვა.

„ძეგლისწერის“ შემდეგი მუხლები („განწესება ჟამისწირვისა“, „მწვალებელთა და წარმართათთვის“ და სხვ.) შინა საეკლესიო საქმიანობის მოწესრიგებას ეხებოდა.

ცალკე მუხლი აკანონებს ქორწინების წესს („კურთხევა გჳრგჳნთა ქორწინებით) – „რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი ნუუკუე შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლქმრად“. ქორწინების წესის დარღვევისათვის კანონი სამღვდელო პირთა დასჯასაც ითვალისწინებდა.

„ძეგლისწერის“ საგანგებო მუხლით („განჩინება სოდომური ცოდვისათვის“) კრებამ აკრძალა სხვადასხვს უწესობანი, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და საეკლესიო პირთა შორისაც.

საეკლესიო კრებამ კატეგორიულად მოითხოვა ხატისა და ღმერთის თაყვანისცემა. ღმრთის მაგინებელი და შეურაცხმყოფელი „ძეგლისწერის“ მიხედვით, „თანამდებ იყოს... განკანონებისა“.

როგორც ვხედავთ, სრულიად საქართველოს დიდ (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრებას ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიუღია. თვით ეს კრება დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. XII საუკუნის პირველი მეოთხედისათვის პირადი ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე სასულიერო პირთა დანიშვნა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება იყო. ყველა კანონი (მუხლი), რომელიც საეკლესიო კრებამ „ძეგლისწერის“ სახით მიიღო, თავისთავად ცალკეულ რეფორმას წარმოადგენდა ეკლესიაში. „ძეგლისწერის“ ანალიზი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიგვანიშნებს იმ დიდი, დაძაბული ბრძოლის შესახებ, რომელიც მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს, კერძოდ, ეკლესიას შორის არსებობდა. მემკვიდრეობის წესი ეკლესიის მართვაგამგებლობაში ტრადიციულად კარგა ხნის დაკანონებული იყო. ამჯერად კი ეკლესიაში არსებული დარღვევები, ამ ორგანიზმის დამორჩილებით დაინტერესებულმა საქართველოს სამეფო კარმა მარჯვედ გამოიყენა და თავის მოწინააღმდეგე (ამავე დროს გარკვეული დარღვევების ჩამდენი) საეკლესიო პირები მოაშორა ეკლესიას, ნაცვლად კი სამეფო პოლიტიკის მომხრენი დანიშნა. დავით აღმაშენებლის მიერ ასეთი ფართო მასშტაბის კრების ჩატარება და ქმედითი ჩარევა საეკლესიო საქმეებში თავისთავად მეტყველებდა მეფის გაზრდილ უფლებებზე სასულიერო საქმეებში. საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა იმდენად აქტიური და მძლავრი იყო, რომ ეკლესია შეურიგდა (რა თქმა უნდა, იძულებით) მის მიმართ მეფის უფლებების გაზრდას. ამგვარად, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფომ თავისი გავლენა მკვეთრად გაავრცელა ეკლესიაზე. ამიერიდან დიდი ფეოდალები ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერ მოკავშირეებს კარგავენ მღვდელმთავრების სახით. დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ დიდი სამეფისკარო პოლიტიკისა, ქვეყნის ცენტრალიზაციას და კულტურის წინსვლას რომ ემსახურებოდა, წარმატებით გადაჭრის ჩარჩოში მოექცა. საქართველოს სამეფოს მიერ გარკვეული წარმატებების მოპოვების შედეგად ჩამოყალიბდა მეფის მკვეთრად გამოსახული ძალაუფლება. ამას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ, ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებამ – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შემოღებამ.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის დაწესება ქრონოლოგიური თვალსაზრისით დაემთხვა ფეოდალური საქართველოს იმ პერიოდს, როცა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა ქვეყანაში განხორციელებული. თვით ამ თანამდებობის შემოღებაც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამეფო ხელისუფლების რეფორმატორულ საქმიანობას უნდა მიეწეროს. ისევე, როგორც ამ დროს გატარებული სხვა რეფორმები, ეს ღონისძიებაც გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და ფეოდალური ქვეყნის განვითარების კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება

მწიგნობართუხუცესის თანამდებობა არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალურ საქართველოში არსებული ყველა სხვა სადარბაზისკარო „ჴელისაგან“. ყველა სხვა „ჴელი“ მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული და ამდენად ორ ბუნებას ამჟღავნებდა. ერთი მხრივ, ხელისუფალი დამოკიდებული იყო მეფის წყალობისაგან და ამიტომ მეფის ძლიერებისათვის უნდა ებრძოლა, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი მემამულე იყო, რაც აიძულებდა, საკუთარ თავსა და სამფლობელოზე მეტი ეზრუნა, მეფის გაძლიერებისათვის კი მაინც არ შეეწყო ხელი. ფეოდალური ეპოქის ყველა „ჴელის“ (გარდა მწიგნობართუხუცესისა) საერთო დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ყოველთვის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას იჩენდა.

არც ერთი ამ თვისებათაგანი არ ჰქონდა მწიგნობართუხუცესს. იგი მონაზონი იყო და ამიტომ, ბუნებრივია, მიწისმფლობელობისგან შორს იდგა. ასევე ვერ გამოიჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას (მონაზონს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქალაქი ან სოფელი საკუთრებად თუ სახარაჯოდ. მას არც მემკვიდრეები ჰყავდა). ამდენად მწიგნობართუხუცესობა მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და, ბუნებრივია, მწიგნობართუხუცესი ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე იყო. თავის მხრივ, მეფე დაინტერესებული იყო, რომ მისი ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი დაწინაურებული ყოფილიყო. ეს დაკავშირებული იყო ცენტრალისტური ხელისუფლების გამარჯვებასთან იმ შინაპოლიტიკურ ბრძოლებში, რომელსაც საქართველოს მეფე დიდგვაროვან საერო და საეკლესიო ფეოდალებთან აწარმოებდა. ეს საქმე დავით აღმაშენებელმა თავის სასარგებლოდ გადაჭრა და ამის შემდგომ მწიგნობართუხუცესის „სახელოს“ აღზევება-დაწინაურებას შეუდგა. სწორედ დავით აღმაშენებლის მიერ უნდა იყოს მინიჭებული მწიგნობართუხუცესისათვის „ობოლთა და ქვრივთა და მომძლავრებულთა მოჩივართა“ განკითხვის ფუნქცია.

მწიგნობართუხუცესი იყო მეფის მრჩეველი („განმზრახი“) და სახელმწიფო მოღვაწეობაში მეფის თანამშრომელი („თანაგანმკაფელი“). ერთ ქართულ კარაბადინში მწიგნობართუხუცესის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული: „ქრისტეს მიერ პატრონმან ჭყონდიდელმან, მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოუპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონებამოზავმან და საღმრთოჲთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ჴელის ამპყრობელმან უღონოთა და ქურივთამან“. ეს ცნობა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს მწიგნობართუხუცესის დაწინაურებულ მდგომარეობას საქართველოს სამეფო კარზე და გვამცნობს, რომ იგი ამასთანავე არის „მართლმსაჯული და ხელისამპყრობელი უღონოთა და ქურივთა“. ჟამთააღმწერელი იმასაც უმატებს, რომ მწიგნობართუხუცესის მოვალეობას „სამეფოსა და სახლის განგება“ შეადგენდა. უფრო მეტიც, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ მწიგნობართუხუცესი „ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“. ზემომოტანილი ცნობებიდან დასტურდება ის დიდი მნიშვნელობა და გავლენა, რომელიც მწიგნობართუხუცესს ჰქონდა.

დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცესი ვაზირია და ეს ვაზირობა – სხვა მოხელეთა შორის მისი უპირველესობის მაუწყებელი ნიშანია. ქართულ წყაროებში ვაზირები XII საუკუნის უწინარეს არა გვხვდებიან, თუმცა ყველა ის ქართული პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც XII საუკუნიდან არაბული ვაზირის სახელწოდებას ატარებს, საქართველოში ადრევე არსებობდა. არ არის გამორიცხული, რომ ქართული ვაზირი და სავაზირო თავისთავადი მოვლენაა, აღმოცენებული ძირითადად „უხუცესთა“ ქართული ინსტიტუტიდან.

საქართველოს მეფე საეკლესიო საქმეებში, როგორც საერო პირი, უშუალო მონაწილეობას ოფიციალურად ვერ მიიღებდა. საგულისხმოა ზემოთ უკვე დამოწმებული ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელი დიდ (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრებას ესწრებოდა როგორც რიგითი წევრი, ე.ი. მისი, როგორც მეფის, უფლებები (ფორმალურად მაინც!) შეზღუდული იყო ამ კრებაზე. მეფის უფლებები შეზღუდული მხოლოდ ამ საეკლესიო კრებაზე არ ყოფილა. იმდროინდელი საეკლესიო დოგმატების მიხედვით, როგორც უკვე შევნიშნეთ, სასულიერო სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მეფე ვერ მონაწილეობდა. დღის წესრიგში დადგა გადამჭრელი ზომების მიღების საკითხი, რათა ეკლესია მეფის ხელისუფლებას საბოლოოდ დამორჩილებოდა. ამ მეტად სერიოზული მიზნის მისაღწევად უნდა გამონახულიყო ისეთი გზა, რომელიც უმტკივნეულოდ დაუმორჩილებდა ეკლესიას სამეფო ხელისუფლებას. ამისათვის ყველაზე უფრო გავლენიანი საეკლესიო პირი სახელმწიფო მმართველობაში უნდა მოეყვანათ, ან კიდევ რომელიმე მაღალი „სახელოს“ მფლობელისათვის დიდი საეკლესიო თანამდებობა მიენდოთ, სამეფო კარისათვის დაეახლოებინათ და ამ გზით ეკლესია სამეფო ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინათ. სწორედ ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ორი თანამდებობა – ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესისა შეაერთა. აქედან მოყოლებული მწიგნობართუხუცესად მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი, ჭყონდიდელი ინიშნებოდა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ საეკლესიო პირთაგან დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელი შეარჩია. X საუკუნეში დაარსებული ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა თანდათან აღზევდა და XI საუკუნის შუა წლებში, ბაგრატ მეოთხის დროს, უწარჩინებულეს კათედრად იქცა მთელ დასავლეთ საქართველოში. ასე იყო დავით აღმაშენებლის დროსაც, და სრულიად გასაგებია თუ რატომ შეჩერდა არჩევანი ჭყონდიდელზე. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ საქართველოს მეფის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის. მეფის უერთგულესი მოხელე მწიგნობართუხუცესი ამავე დროს საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის – ჭყონდიდლობის მატარებელიც გახდა. ამიერიდან მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსიც უნდა ყოფილიყო. ასე შეიქმნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომლის მფლობელი ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. ამ ახალი „ხელის“ მეოხებით საქართველოს მეფეს საეკლესიო საქმეებში ფართოდ და აქტიურად ჩარევის ასპარეზი მიეცა. ეს, თავის მხრივ, მეფის ცენტრალური ხელისუფლების ეკლესიაზე უშუალო გავლენას ნიშნავდა.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა 1104-1105 წლებში ჩანს დაწესებული, რადგან საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეს ნაბიჯი დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრების (კრება, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, 1104 წელს იქნა მოწვეული) გადაწყვეტილებათა ლოგიკური გაგრძელებაა და, ბუნებრივია, მისი სისრულეში მოყვანა ამ კრების შემდეგ აღარ დაყოვნდებოდა, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელი რეფორმის გასატარებლად ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. თუ არა ამ რეფორმისათვის მზადებას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე ჩვენ ვხედავთ განათლებულ ბერს, გიორგის – სასულიერო საქმეებში სათანადოდ გაწაფულ პიროვნებას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო ცხოვრებაში. ცხადია, დავით აღმაშენებელს აღნიშნული რეფორმის გატარება წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და განსაზღვრული.

ამდენად, 1104-1105 წლებში უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტების გაერთიანება. ამ თანამდებობის პირველი მფლობელი გახდა გიორგი ბერი, დიდი საეკლესიო კრების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე.

ანონსი

მორიგ ხუთშაბათს წაიკითხეთ „მძლეობა ქართველთა“...

მინისტრი პანკისის ხეობის მოსახლეობას შეხვდა

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია სოფელ დუისში პანკისის ხეობაში მცხოვრებ ფერმერებს, ქალთა სათემო ორგანიზაციის წევრებს და ახალგაზრდებს შეხვდა. შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

პანკისის ხეობის მოსახლეობამ განსაკუთრებული ინტერესი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასთან დაკავშირებით გამოხატა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 22 მარტს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი პანკისის ხეობის მოსახლეობას შეხვდება და კოოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დეტალურად განიხილავს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის პანკისის ხეობის მოსახლეობასთან შეხვედრა პანკისის სათემო რადიოს WAY-ის ორგანიზებით გაიმართა. უახლოეს დღეებში, პანკისის სათემო რადიო მსგავსი ტიპის შეხვედრების გამართვას მთავრობის სხვა წევრებთან გეგმავს.

საქართველოს პრეზიდენტს ახალი ეკონომიკური მრჩეველი ჰყავს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა დღეს პრეზიდენტის ახალ ეკონომიკურ მრჩევლად მაია მელიქიძე წარადგინა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გიორგი აბაშიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე მაია მელიქიძეს წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტის გუნდის ახალი წევრის საქმიანობა წარმატებული იქნება.

ფარული ვიდეოების საქმეზე დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებული ზურაბ ჯამალაშვილსა და ადვოკატ ირაკლი ფხალაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

გადაწყვეტილება მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა გუშინ მიიღო, რომლის მიხედვითაც ფარული ჩანაწერების შენახვა-გავრცელების საქმეზე დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

პროცესი 2 საათის განმავლობაში, დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა. მოსამართლემ სხდომის დახურვის გადაწყვეტილება ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 21 აპრილს ჩაინიშნა.

ეკა მიშველაძემ იმ პირის ვინაობა დაასახელა, რომელმაც მეუღლესთან ვაიბერში მიმოწერა გადასცა

ჟურნალისტმა ეკა მიშველაძემ პროკურატურას გუშინ იმ პირის ვინაობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელმაც მეუღლესთან ალექსი პეტრიაშვილთან ვაიბერში მიმოწერა გადასცა.

„ახლა პროკურატურის პრეროგატივაა, დაიწყებს თუ არა გამოძიებას“, — განაცხადა მიშველაძემ.

მისივე ინფორმაციით, ფარული მიყურადება მასსა და ალექსი პეტრიაშვილზე 2014 და 2015 წლებში ხორციელდებოდა.

პლენარულ სხდომაზე დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა

გუშინ პლენარულ სხდომაზე დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირიპირება მოხდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი ბარამიძემ მიმართა ხელისუფლებას, სამაგალითოდ რომ დაესაჯათ დამნაშავეები, დაშანტაჟება არ მოხდებოდაო!

„როგორც ხვედელიძეზე გააკეთეთ, თავზე ხელი კი არ უნდა გადაუსვათ, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, სამაგალითოდ უნდა დასაჯოთ, კი არ უნდა დაიჭიროთ და გამოუშვათ, როგორც ხვედელიძის შემთხვევაში იყო.. რომ დაგესაჯათ, არ იქნებოდა გვარამიას დაშანტაჟება, რუსთავი ორის დაშანტაჟება, ეკა მიშველაძის და ინგას დაშანტაჟება“, — აღნიშნა ბარამიძემ..

ამ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების გაღიზიანება მოჰყვა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც კარლო კოპალიანმა მიხეილ მაჭავარიანს მიკროფონი ესროლა... ცემა-ტყეპამდე საქმე არ მისულა.

სალომე ზურაბიშვილი: გარკვეულ ძალებს აწყობთ ქვეყანაში არეულობა

გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გარკვეულ ძალებს აწყობთ ქვეყანაში არეულობა. მისი თქმით, მას ეჭვი არ ეპარება, რომ კადრები „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არის გადაღებული.

„რეალური დანაშაული არის ის, რაც მოხდა ცხრა წლის მანძილზე, როცა ხელისუფლების პოლიტიკა იყო მოსმენები, თვალთვალი, პირადი ცხოვრების კადრების გადაღება, შანტაჟი და ტერორი ადამიანებზე. მე ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც დღეს საუბრობენ ტერორზე და რომლისგანაც ეს სიტყვა თავის დროზე არ გამიგია. თუნდაც მაშინ, როდესაც ჩვენს ოფისში აღმოვაჩინეთ მოსმენის აპარატები, პრესა მოვიწვიეთ. არცერთი პოლიტიკური ძალისგან ამასთან დაკავშირებით არ მომისმენია, რომ შეშფოთდნენ“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

პორნო კინოს ინდუსტრიას „ნაცმოძრაობამ“ ჩაუყარა საფუძველი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური, ფარული კადრების გადაღებასა და გავრცელებაში ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს. მისი განმარტებით, ზუსტად ისინი და მათი ლიდერები იყვნენ, იმ სათავეებთან, როდესაც კინო პორნო ინდუსტრიას დაედო საფუძველი.

„ეს კადრები დადებულია, ზუსტად მათ მიერ. დიდი ალბათობით, ძალიან ბევრი ვიდეო ჩანაწერი არსებობს კიდევ. არ გამოვრიცხავ, რომ აქაც იყოს დასაწყობებული არაერთ ადგილზე. ამას იყენებენ, ერთმანეთის შანტაჟისთვის და მეორეს მხრივ ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის. თუ ვინემს არ აწყობს აღნიშნული ჩანაწერების გამომზეურება, ეს არის ხელისუფლება. იმიტომ რომ ყველას ექნება საშუალება მისკენ გაიშვიროს ხელი. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, მართალიც იქნება ვინაიდან, ხელისუფლება პასუხისმგებელია ყველა იმ მოვლენაზე, რაც ქვეყანაში ხდება. თუმცა ვიმეროებ ეს არის ისეთი სახის დანაშაული, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს ნებისმიერი ქვეყნის ტერიოტრიიდან. ეს არის 2012 წლის ჩანაწერები, ამ ხელისუფლების მოსვლამდე. რომელიც დიდი ალბათობით მათ უკვე გააჩნდათ და გაიტანეს კიდევაც ქვეყნიდან. ზოგიერთი მათი ლიდერი იმუქრებოდა კიდეც ამ კადრების გამოქვეყნებით, მათ შორის მეგის ქარდავა და ეს დადასტურებულია.

დედამიწის ზურგზე

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყირიმის რუსეთის ფედერაციასთან მიერთების ნლისთავზე სანქციის შენარჩუნების შესახებ განაცხადა

ამერიკის ხელმძღვანელობა ძველებურად არ აღიარებს 2014 წლის 14 მარტის რეფერენდუმის შედეგებს ნახევარკუნძულთან დაკავშირებით. ამ დროს ცნობილი გახდა, თუ ყირიმი როგორ ზეიმობს რუსეთის ფედერაციაში შესვლის ორი წლისთავს. ასევე გაირკვა, რომ პარასკევს, 18 მარტს ნახევარკუნძულის რუსეთთან შეერთების დღის აღსანიშნავად სახელმწიფო დუმის სამუშაო დღე შეიძლება 2 საათამდე შემცირდეს.

არგენტინის სანაპირო დაცვამ ჩინეთის თევზსაჭერი ხომალდი ჩაძირა

მესაზღვრეები აძლევდნენ სიგნალს ჩინელებს, რომლებიც თევზს იჭერდნენ არგენტინის ეკონომიკის 200-მილიან ზონაში, ეს იყო ხმისა და ვიზუალური სიგნალები, მაგრამ დამრღვევმა ხომალდმა გამორთო ცეცხლი და უგულებელყო მცდელობა დაემყარებინათ მასთან კონტაქტი, შემდეგ კი შეეცადნენ დამალვას.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ისლამურმა სახელმწიფომ ტერიტორიის 22 პროცენტი და შემოსავლების 40 პროცენტი დაკარგა

ექსპერტების სიტყვებით, ისლამისტების მიერ სირიასა და ერაყში ტერორისტებზე კონტროლის დანაკარგი მოხდა უკანასკნელი 14 თვის განმავლობაში. დაჯგუფებათა შემოსავლები — უპირატესად ნავთობის გაყიდვის შედეგად — შემცირდა კონტროლის დაკარგვის შედეგად საზღვარზე თურქეთსა და სირიას შორის.

პოლიციური ოპერაციის შედეგები ბრიუსელში: სავარაუდო ტერორისტი მოკლულია, დაიჭრა 4 პოლიციელი

გვიან საღამოს „უშიშროების პერიმეტრის“ მცხოვრებლებს ნება მისცეს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში. მშობლებმა მშვიდად აიყვანეს თავიანთი ბავშვებიდან ორი საბავშვო ბაგიდან და ორი სკოლიდან, რომლებიც ამ პერიმეტრში აღმოჩნდნენ. ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ამტკიცებს, რომ პოლიცია ეძებს ერთ-ერთს ორი გაქცეულიდან, რომლებიც, თითქოსდა, ასევე მონაწილეობდნენ სროლაში.

სამხედრო ოპერაცია სირიაში რუსეთს 38 მილიარდი რუბლი დაუჯდა

ერთ-ერთი გამოცემა წერს იმის შესახებ, რომ სამხედრო ოპერაციის 167 დღის განმავლობაში ერთი დღის ოპერაციის ღირებულება 156, 3 მილიონი რუბლიდან (2,5 მილიონი დოლარი) გაიზარდა 230 მილიონ რუბლამდე (3,3 მილიონი დოლარი). გაანგარიშების დროს, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ითვალისწინებენ, კერძოდ, დანაკარგებს საბრძოლო გაფრენებზე, ტვირთების მიტანაზე, ხელფასებსა და სამხედროების სადღეღამისო შენახვაზე, აგრეთვე ტრანსპორტზე.

ეკვადორში დაიმსხვრა სამხედრო თვითმფრინავი, დაიღუპა 22 კაცი

ინციდენტი მოხდა პასტასის პროვინციაში ეკვადორის აღმოსავლეთ ნაწილში. „გადარჩენილები არ არიან. ეს იყო ჩვენი სამშობლოს 22 ჯარისკაცი. ეს ნამდვილი ტრაგედიაა“, — დაწერა პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ.

პაკისტანში ტერორისტებმა 15 სახელმწიფო მოსამსახურის სიცოცხლე შეინირეს

აფეთქება მოხდა ავტობუსში ქალაქ ეშევარის ერთ-ერთ ქუჩაზე. ავტობუსმა ქალაქის შორეული რაიონებიდან წამოიყვანა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები და მიჰყავდა ისინი სამუშაო ადგილზე. მასში 40-დან 50 კაცამდე იყო, მონაცემები დაშავებულების შესახებ არ შემოსულა.

სტალინი – ურჩხულის წინააღმდეგ მებრძოლი რაინდი

მსოფლიო ისტორიაში 1953 წლის შემდეგ უამრავ მოვლენას ჰქონდა ადგილი, მათ შორის „ცივ ომს“, საბჭოთა კავშირის დაშლას, ახალი „ცივი ომის“ დაწყებას, სხვა მრავალს და ამ მოვლენებში მუდამ იგრძნობოდა ისტორიული ფენომენის გავლენა – პიროვნების, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში. ამ პიროვნებას სტალინი ჰქვია.

როგორ არ მოიხსენიებენ მას, უმეტესად ცუდად, მტარვალად, დიქტატორად, ჯალათად და მასთან ერთად ადამიანად, რომელმაც მსოფლიოში მანამდე არნახული, უკიდეგანო იმპერია შექმნა – მისი სამართავი მექანიზმი და სისტემა, დღესაც რომ ხელსაყრელ პირობებს უქმნის შთამომავლებს – საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ხელისუფალთ.

1953 წლის 5 მარტს დაასრულა სტალინმა საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელობა – ფიზიკურად, მაგრამ სულიერად დღესაც აგრძელებს, რამეთუ მართვისთვის გამოგონილი მექანიზმი მტკიცე და შეუვალია, ვითარცა ფოლადი. გასულ 5 მარტს რუსმა კომუნისტებმა პატივი მიაგეს ბელადის გარდაცვალებას – გვირგვინებით შეამკეს რა მისი ძეგლი და სამარადისო სასუფეველი კრემლის კედელთან.

ამ დღეს დაამთხვიეს რუსულმა ტელეარხებმა დოკუმენტური ვიდეო-ფილმები, თოქ-შოუები, სხვადასხვა სახის გადაცემები, რომლებშიც თავიდან ბოლომდე ჟღერდა სიტყვა „სტალინი“ – უმეტესად ნეგატიურ კონტექსტში – კიდევ ერთხელ დასაგმობად, ხალხის გონებაში იმის ჩასაბეჭდად, რომ ადამიანს, ვისაც ზოგიერთები ეთაყვანებიან – ბოროტი და ჯალათია.

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, რაც უფრო მეტად აგინებენ, მით უფრო დადებითად იხსენებენ მას, მით უფრო დამაჯერებლად გაისმის იმათი ხმა, ვინც აცხადებს, რომ სტალინის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებები, ფალსიფიცირებულია, შეთხზულია და სინამდვილეს არ შეეფერება.

ერთის მხრივ, სტალინის პიროვნების ლანძღვა-გინებაზე იყო აწყობილი რუსეთის ტელეკომპანია „RTR Planeta“-ს თოქ-შოუ, რომელსაც ცნობილ ჟურნალისტი ვლადიმერ სოლოვიოვი უძღვებოდა და, მეორის მხრივ, ამ პიროვნების პოზიტიურ კვალზე საბჭოთა ისტორიაში. გადაცემას პაექრობა, უფრო სწორად, შერკინება ჰქვია, მასში რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟირინოვსკი და პოლიტოლოგი სტარიკოვი იღებდნენ მონაწილეობას.

პირველმა, მისთვის ჩვეული პათოსით, მეტადრე დემაგოგიურით, რა არ აკადრა სტალინს, მათ შორის გაუნათლებელი, „საპოჟნიკის“ შვილი, უცოდინარი, მშიშარა და ა.შ. მეორემ, ოსტატურად და რაც მთავარია, ისტორიული დოკუმენტების მოშველიებით გააბათილა მოწინააღმდეგის ნათქვამი, ისე, როგორც მისმა სეკუნდანტებმა, ჟირინოვსკის სეკუნდანტების გამოთქმული მოსაზრებები.

2-საათიანმა პაექრობამ დაძაბულად ჩაიარა და მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც დადასტურდა კიდევაც სტუდიაში განხორციელებული სატელეფონო ზარების რაოდენობით. გაიმარჯვა სტარიკოვმა, რაც მანიშნებელია იმისა, რომ სისტემურ ძაგებას უკურეაქციაც აქვს, მით უმეტეს ისეთ საკითხში, როგორიც სტალინია.

ჟირინოვსკიმ სტალინს აგინა, მაგრამ იმავე პარტიიდან სახელმწიფო დუმის დეპუტატმა დიმიტრი ნოსოვმა, გამომცემლობა „Sports“-სთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა – „სტალინი მე-20 საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსია“. და დაუმატა: „როდესაც იყო სტალინი, „წითელმა“ ტერორმა, ლენინის და ტროცკისთან შედარებით, მნიშვნელოვნად იკლო. სტალინმა კავის ქვეყანა ჩაიბარა და ეროვნული პროდუქტის მატებაში (მსოფლიო მასშტაბით) 10%-ს მიაღწია. ომის დროს ეს მაჩვენებელი რეკორდული იყო – 20%. დღეს, ომი არ არის, მაგრამ მაჩვენებელი მინუს 1%-ია. სტალინმა დააარსა ნავთობის მრეწველობა. მე ვუყურებ მას როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს, რომელმაც ბევრი გააკეთა რუსეთისთვის“.

გარდა ამისა ნოსოვმა აღნიშნა, რომ სოლჟენიცინის შემოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს რეპრესიების ამსახველ ნამდვილ დოკუმენტად, ვინაიდან ის იყო „დაფინანსებული“. „სოლჟენიცინის ჩანაწერები – დაფინანსებული ისტორიაა, რის შესახებაც ყველამ იცის“. პარლამენტარმა თქვა, რომ სტალინი არ იყო ანტისემიტიზმის მომხრე. სტალინმა შექმნა ისრაელის სახელმწიფო – ამას გეტყვით ნებისმიერი ებრაელი. არ არის საჭირო იმის თქმა, რომ სტალინი ებრაელთა წინააღმდეგი იყო, ეს ბოდვაა“.

ნოსოვი არც მეცნიერია და არც მკვლევარი, ის ჭიდაობა ძიუდოს და სამბოს სპორტის დამსახურებული ოსტატია, ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. ის, 2011 წლიდან არის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, თანაც იმ პარტიიდან, რომლის ლიდერი ჟირინოვსკია. ერთ პარტიაში, როდესაც ლიდერს და პარტიის წევრს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ისეთ საკითხში, როგორიც სტალინია, ნიშნავს თუ არა იმას, რამდენად პოლარიზებულია რუსული საზოგადოება ამ თემასთან დაკავშირებით?

კამათი და დაპირისპირება გრძელდება, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ მინდვრებზე და მომავალშიც გაგრძელდება, ვინაიდან თვით თემა ითხოვს ამას, მისდამი ინტერესი, მის მიერ შექმნილი მაგალითების სიღრმე და ამ მაგალითების საწინააღმდეგო მოსაზრებები.

სტალინის გარდაცვალების დღემდე 2 დღით ადრე, რუსეთმა საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის დაბადების 85-ე იუბილე აღნიშნა – პიროვნების, ქვეყნის ხელმძღვანელის, რომელმაც წერტილი დაუსვა მსოფლიოს უდიდესი იმპერიის არსებობას და მასთან ერთად ყოველივე იმას, რაც საბჭოთა ადამიანის მიერ იყო შექმნილი.

აი, რას წერს ექსპერტი იური ბარანჩიკი საინფორმაციო საგენტო „Regnum“-ში: „ხალხმა დაკარგა სამსახური, ხელფასი, სტაბილური ცხოვრების სტილი. რამდენმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით? რამდენმა ქალმა გაიკეთა იძულებითი აბორტი? რამდენი გალოთდა? რამდენი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან? რამდენი გავიდა ქვეყნიდან? შეგახსენებთ, მარტო სანკტ-პეტერბურგში 1991-2001 წლების განმავლობაში ბანდიტური გარჩევების დროს 15000 – 18-დან 60 წლის ასაკამდე მამაკაცი დაიღუპა, იმდენი, რამდენიც ავღანეთის ომში და ეს მარტო ერთ ქალაქში“.

სტატიის ავტორის აზრით, ჩინეთსა და აშშ-ში მთელი ინსტიტუტები მუშაობენ საბჭოთა კავშირის პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების შესწავლისთვის. რუსეთში მსგავსს ადგილი არა აქვს. გორბაჩოვმა დაანგრია ქვეყანა და ამისთვის საჭიროა საზოგადოებრივი სასამართლოს შეფასება, რათა ყველამ გაიგოს, რომ ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული ბაჰამის კუნძულების ან კალიფორნიის „პლაჟებზე“ კი არ უნდა მთავრდებოდეს, არამედ სამშობლოს სასამართლოში.

სამართლიანი მოთხოვნაა, მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვის ფენომენი თვალშისაცემია - საბჭოთა იმპერიის დაშლა. რუსი ლიბერალები, რომლებიც ამაზე ოცნებობდნენ, მუდამ დადებითად მოიხსენიებენ გორბაჩოვს, მაგრამ რუსეთში სხვებიც არიან – სახელმწიფოებრივად მოაზროვნეები.

რას ნიშნავს ყოფილი პირველი პირის დასჯა დაშვებული შეცდომის გამო, რომელიც ქვეყნის ღალატის ტოლფასია? – უდავოდ, პასუხისმგებლობის გაზრდას პოლიტიკოსებს შორის. როდესაც სჯიან პირველს, სჯიან, სხვებსაც, იერარქიულ საფეხურზე

ქვემოთ მყოფსაც, საერთო ჯამში, ყველა სახელმწიფო მოხელეს, ვინც ჩაიდინა დანაშაული.

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველო ცუდი მაგალითია. ეს, ის ქვეყანაა, სადაც როგორც „პირველმა“, ისე სხვამ დანაშაულებათა კასკადი შეიძლება ჩაიდინოს და განცხრომით გაგრძელოს ცხოვრება. მაგალითების მოსაყვანად შორს წასვლა არ გვჭირდება. განა ერთი სააკაშვილი საკმარისი არ არის?!

სააკაშვილმა უღალატა საქართველოს, ომი გააჩაღა მის წინააღმდეგ, რითაც ისედაც პატარა ქვეყნის 20% დაკარგა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს არის საკმარისი სამუდამო პატიმრობისთვის. ნაცვლად ამისა, ავირჩიეთ ე.წ. კოჰაბიტაციური გზა – მტერთან, დამნაშავესთან ჩახუტებისა, რითაც დამნაშავე პარტიას პოლიტიკურ შეტევაზე გადმოსვლის საშუალება მივეცით.

„ოცნებური“ მმართველობის 3 წლის თავზე ისევ „ნაცები“ უძღვებიან პოლიტიკურ „კარნავალს“; ისევ „ნაცები“ გვასწავლიან ჭკუას; ისევ „ნაცები“ ჩაგვჩიჩინებენ ვისთან ვიმეგობროთ და ვისთან არა; ისევ „ნაცები“ გვიწყობენ ცოცხალ ჯაჭვს სახელმწიფო კანცელარიიდან რუსეთის საელჩომდე, მოწოდებით – არა „გაზპრომს“...

საზოგადოებრივი სასამართლო ციხეს არ ნიშნავს, თუმცა, სააკაშვილი ამის ღირსია, ის ისეთი საზოგადოებრივ გაკიცხვას ნიშნავს, ხელს რომ არ ართმევენ, ქუჩაში გვერდს ზიზღით რომ უვლიან.

თუ თავს ქვეყნად მიიჩნევ, თან პრეტენზიებიც გაგაჩნია, სხვაგვარად უნდა იქცეოდე – სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სადარად. ფრენის მსურველი არ უნდა ხოხავდეს, წინაპრებს პატივით უნდა ექცეოდეს და, რაც მთავარია ,ობიექტურად, ისე, როგორც ბრძენი ჩინელები ეპყრობიან მაო ძედუნს, სხვა ყოფილ პარტიულ ლიდერებს ანდა ისე, როგორც ესპანელები ფრანკოს. ესპანეთის ხელისუფლებამ და საკანონმდებლო ორგანომ წერტილი დაუსვა ფრანკოს ლანძღვა-გინებას, ჩათვალა რა მიუღებლად დემოკრატიის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის.

სტალინის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული არა მარტო საბჭოთა კავშირთან, არამედ მეორე მსოფლიო ომთან. ზოგი რას წერს ამ ომის, განსაკუთრებით მსხვერპლის შესახებ და ზოგი რას. სტალინის გასაშავებლად ომში დაღუპულთა რაოდენობის გაზრდაც დაიწყეს, ჯერ ხრუშჩოვმა, შემდეგ გორბაჩოვმა და ელცინმა, რითაც შეუგნებლად წყალი შეუყენეს (იქნებ შეგნებულად) ქვეყანას, რომელსაც ისინი მართავდნენ.

დასავლეთი, რომელიც დაბეჯითებით ბუქავდა ომში დაღუპულთა რაოდენობას, აღტაცებული შეხვდა საბჭოთა ლიდერების მიერ წარმოთქმულ, ერთობ არასანდო სტატისტიკას. მიზანი – სტალინისა და საბჭოეთის განქიქება, მსოფლიო საზოგადოების თვალში დამცირება.

დღესაც, ზოგიერთი დაუფიქრებლად აცხადებს, რომ ომში 28 მილიონი დაიღუპა. არადა, დემოგრაფების, ისტორიკოსებისა და სტატისტიკოსების გათვლით არა უმეტეს 15 მილიონი ადამიანისა, აქედან 7 მილიონი ბრძოლების დროს, დანარჩენი – ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

71-ე წელია, რაც ომი დასრულდა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძიმე და გამაჩანაგებელი. ომმა თავისთავად გააჩინა გმირები, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სტალინს – ფაშიზმის დამმარცხებელს, ლიდერს, რომელმაც კაცობრიობა იხსნა ფაშიზმისგან. მეორე მსოფლიო ომმა წინა პლანზე წამოსწია წითელი არმიის უძლეველობისა და რუსი (საბჭოთა) ხალხის თავგანწირვა, რაც გარკვეულ შურს ბადებს იმათში, ვინც ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოიაზრებოდა.

და გაჩაღდა გაყალბებულ „ფაქტებზე“ დაფუძნებული ომის ისტორიის ამსახველი მასალების მოზღვავება ამერიკა-ევროპაში. მათი მიხედვით, ფაშიზმის დამარცხების საქმეში საბჭოეთის წვლილი იმდენად დაკნინებულია, რომ შემდეგი მოსაზრება უჩნდება თანამედროვეობას – იღებდა კი ამ ომში საბჭოთა კავშირი მონაწილეობას?

ომის თემასთან თამაშში ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტა არის შემჩნეული, რასაც ხელი შეუწყო იმ მსოფლიო წესრიგის დარღვევამ, რომელიც 1945 წელს იყო შექმნილი. ბერლინის კედლის და საბჭოეთის დაშლამ სხვა რეალობა გააჩინა. „პერესტროიკამ“ გამოიწვია დემილიტარიზაცია, „ცივი ომის“ დამთავრება, ევროპის განთავისუფლება კომუნიზმისგან, საბჭოეთის, შემდეგ რუსეთის დასავლეთთან დაახლოება. ერთი სიტყვით, იმ დათმობებზე წასვლა, რისთვისაც თავის დროზე დასავლეთი ტრილიონებით დოლარს ხარჯავდა.

ნაცვლად დასავლელთა შემხვედრი ნაბიჯისა, რუსეთმა მიიღო გაწბილება. ის არ იგუა დასავლეთმა ისე, როგორც გამარჯვებული არ ეგუება დამარცხებულს, რამაც არა მარტო უსამართლობის გრძნობა გააჩინა რუსეთში, არამედ დამცირების. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნისთვის ესოდენ დამამცირებელი დამოკიდებულების შეგრძნებამ მძიმედ იმოქმედა მასზე. რუსეთს სურდა, რომ დასავლეთი მას, როგორც თანატოლს მოპყრობოდა, მაგრამ საბჭოეთის დაშლამ თავისთავად გააჩინა დასავლელთა აღმატებულების შეგრძნება. რუსეთი, დიდი პოლიტიკიდან განდევნილი იქნა.

დასავლეთმა, მიიღო რა საბჭოეთის ნანატრი დაშლა, გული აიყარა მის მემკვიდრე რუსეთზე, რამაც ასევე თავისთავად გააჩინა დამცირების გადალახვის სურვილი, მილიტარისტული სულისკვეთების აღორძინება, მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიების გახსენება და გამარჯვების რეანიმაცია, რევანშიზმი.

არ იქნებოდა მადამოსული დასავლეთის შეტევა რუსეთის წინააღმდეგ და აღმოსავლეთით, გავლენის სფეროთა გაფართოება და არ იქნებოდა ლოზუნგი „ყირიმი ჩვენია“. ყირიმის აღება სიმბოლური აქტია 1991 წლის გეოპოლიტიკურ დამარცხებაში.

ყირიმი არის სიმბოლო – იდეოლოგიური, სიტყვიერი დოკუმენტი ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაფორმებული, რომლის საფუძვლი არა დემილიტარიზაცია, არამედ მილიტარიზაცია და რევანშიზმია ანუ არა მშვიდობა, არამედ ომი, თანაც სამართლიანი.

სწორედ ამას უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის და სტალინის ხშირი ხსენება. სტალინი დასჭირდათ, მაგრამ გახსენებისას (რუს ლიბერალთა წყალობით) უზომოდ აკნინებენ მის სახელს და ნამოქმედარს. რომ არა სტალინისა და საბჭოეთის შეისხლხორცება, ნაკლებად გაიხსენებდნენ მას. იძულებითი გახსენება ჰქვია ამას და პიროვნების მხრებიდან, ხალხის მხრებზე იმ უდიდესი დამსახურების გადატანა, რასაც პიროვნების დამსახურება ჰქვია.

რა გაეწყობა - იმჟამად საბჭოეთს ცუდი სტალინი ლიდერობდა, რომლის როლი გამარჯვებაში ნულის ტოლია. „გაიმარჯვა საბჭოთა, რუსმა ხალხმა“ – ვისმენთ ამ აბრაკადაბრას ყოველდღიურად, ლიდერის დასაკნინებლად და ხალხის ასამაღლებლად და იმის დასამტკიცებლად, რაც მსოფლიო ისტორიისთვის უცხოა – უმეთაურო ხალხის ომში გამარჯვება. მაგრამ ხალხს კარგი მახსოვრობა აქვს, რაც გამოჩნდა კიდევაც ჟირინოვსკი-სტარიკოვის შერკინებაში.

დესტალინიზაცია და დესოვეტიზაცია დერუსიფიკაციას ნიშნავს, რაც კარგად გაითავისა რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობამ, რასაც საქართველოზე ვერ ვიტყვით. დესტალინიზაციას დასავლეთი მართავს, ცხადია, დერუსიფიკაციასთან ერთად და აღნიშნულის განსახორციელებლად მილიტარისტულ, აღმოსავლურ ნაბიჯებსაც დგამს.

არ იქნებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და არ იქნებოდა კრემლის გაღიზიანება; არ იქნებოდა უკრაინის ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ და არ იქნებოდა დონბასი და ლუგანსკი, ყირიმის დაბრუნება, მანამდე არ იქნებოდა ცხინვალის ავანტიურა და არ იქნებოდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია; არ იქნებოდა ანტირუსული დასავლური ავანტიურა და არ იქნებოდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები სირიაში.

რუსეთისთვის განიარაღება უკვე აღარ არის უსაფრთხოების სინონიმი. რუსეთისთვის უსაფრთხო მშვიდობა შეიარაღებაზე გადის. გექნება შეიარაღება, გექნება მშვიდობა. პატივს გცემენ მაშინ, როდესაც ძლიერი ხარ ანუ „შიში შეიქმს სიყვარულს“. სტალინმა კარგად იცოდა ეს და ამიტომაც იღვწოდა ძლიერი არმიისა და შეიარაღებისთვის. ამერიკის ლიდერებმაც იციან ეს და ამიტომაც ყოველწლიურად ზრდიან სამხედრო ხარჯებს.

თანამედროვე „დემოკრატია“ სამხედრო ძალაზეა დაფუძნებული და ვიდრე ასეა, სიტყვა „დემოკრატიასაც“ არ ჩამოშორდება ეგრეთწოდებულობა.

ვიდრე ასეა – სტალინი იქნება თითით საჩვენებელი, ხშირად სალანძღავი სახელი, მაგრამ მოჩვენებით სალანძღავი. სინამდვილეში – საამაყო, სამაგალითო, მისაბაძი ფენომენი, ურჩხულის წინააღმდეგ მებრძოლი რაინდი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ხელბურთი

ჩერნოგორიაში 20-წლამდელებს დაუპირისპირდებიან

საქართველოს 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა ნაკრებმა ამას წინათ თბილისის ახალ სპორტის სასახლეში საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციების ეგიდით გამართულ IHF/EHF-ის ქალთა თასის გათამაშებაში მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობა დათმო და მე-2 ადგილი დაიკავა. ფინალურ მატჩში ჩვენმა სამმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი გვაზავამ გვითხრა, თათია გადელიას ტრავმა სერიოზულია, დამატებით გამოკვლევებსა და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, თუ ოპერაცია არ დასჭირდა. ქეთევან კუნელაშვილისა და ქეთევან ვენეცკის ტრავმები უფრო მსუბუქია – სავარაუდოდ, 10-დღიან თერაპიულ მკურნალობას დაექვემდებარება. ამის მიუხედავად, ისინი ვერ გაემგზავრნენ ჩერნოგორიაში, სადაც 18-20 მარტს 20-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეჯიბრება გაიმართება. ფინალური ეტაპის ერთადერთი საგზურისთვის მასპინძლები, ქართველი და უკრაინელი ხელბურთელები იბრძოლებენ. ჩვენებს 2 წლით უფროსებთან მოუწევთ პაექრობა, მაგრამ გუნდის წევრების თქმით, უბრძოლველად არაფერს დათმობენ. მწვრთნელები კი ამ ტურნირს უფრო გამოცდილების გასამდიდრებლად მიიჩნევენ და იმედოვნებენ, რომ აქ მიღებული გამოცდილება 4-9 ივლისს გიოტებორგში (შვედეთი) ევროპის 18-წლამდელთა ღია პირველობაში გამოადგებათ.

საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ნაკრები ჩერნოგორიაში გუშინ ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ანა ვარდიშვილი („მამული“), ქრისტინე ჯავახია („ფოთი“), მარიამ ჩაჩუა („პეგასი“), თინათინ ქიტესაშვილი („ყვარელი“), ქრისტინე ღვალაძე („მამული“), თამარ ჩოგოვაძე („პეგასი“), მედეა ჩოხელი („პეგასი“), ანა ყველაშვილი („მამული“), ჯულია ჩირგაძე („წყალტუბო“), მაია ბერიძე („პეგასი“), მარიკა ჯავახაძე („წყალტუბო“), ნინო გაგნიძე („პეგასი“), მთავარი მწვრთნელი გიორგი გვაზავა, მწვრთნელები – ინა ჭკუასელი, ამირან კომახიძე.

ლაშა დიდია

სურათზე: უტევს ანა ყველაშვილი.

◎ ჭადრაკი

ჯავახიშვილს - მთავარი პრიზი

თბილისში დამთავრდა ქალთა საქართველოს გრან პრის გათამაშება სწრაფ ჭადრაკში (რაპიდი, I ეტაპი). დიდოსტატმა ლელა ჯავახიშვილმა ცხრა პარტიიდან ექვსი მოიგო, ორი ყაიმით დაასრულა, მხოლოდ ერთი ხელი დათმო, მოაგროვა შვიდი ქულა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ბელა ხოტენაშვილი, რომელიც მეორე იყო. 6-6 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები ქეთი წაწალაშვილმა და სოფიო გვეტაძემ გაიყვეს.

თამაზ პატარაია

სურათზე: ლელა ჯავახიშვილი.

◎ ფეხბურთი

ტაბლო ნულებსაც იტანს

ჩემპიონთა ლიგის მორიგი მერვედფინალური რაუნდის ორივე მატჩი უგოლოდ დასრულდა, თუმცა, გარდა შედეგისა, მათში განვითარებულ მოვლენებს სხვა არაფერი ჰქონდა საერთო. ისიც სათქმელია, რომ ასეთი სიუჟეტი მნიშვნელოვანწილად პირველი ბრძოლების ანგარიშებმა განაპირობა.

„ატლეტიკო“ – „ეინდჰოვენი“ – 0:0 (პენალტებით – 8:7, პირველი მატჩი – 0:0)

ქებათაქება სტუმრებს, რომლებმაც ტოლი არაფერში დაუდეს ფავორიტად მიჩნეულ დიეგო სიმეონეს გუნდს და აღნიშნულ წყვილში უძლიერესი საფეხბურთო ლატარიამ გამოავლინა.

სხვათა შორის, ძირითადი დროის მიწურულს ლოკადიამ ბურთი ობლაკის კარის ხარიხას მოარტყა, თორემ ჰოლანდიური კლუბი ხმაურიანი სენსაციის ავტორი გახდებოდა.

„სიტი“ – კიევის „დინამო“ – 0:0 (პირველი მატჩი – 3:1)

მართალია, „ქალაქელთა“ თავკაცმა მანუელ პელეგრინიმ მინდორზე უძლიერესი შემადგენლობა გაიყვანა, მაგრამ ამით თამაშის სანახაობრივ მხარეს არაფერი შემატებია. ვერც გაამტყუნებ კაცი მასპინძლებს – მათ ხომ კვირას უმნიშვნელოვანესი მანჩესტერული დერბი ელით „იუნაიტედთან“. თანაც გასათვალისწინებელია, რომ სერგეი რებროვის შეგირდებთან ორრაუნდიანი დუელის ბედი ორი კვირის წინათ უკრაინის დედაქალაქში, ფაქტობრივად, უკვე გადაწყდა.

გიორგი შოთაძე

◎ დღეს ვაკეში

ყველანი ყოფნა-არყოფნის მაჯჩზე!

ბოსნიელებთან ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის სასტარტო შეხვედრაში დასანანი მარცხის (1:2) შემდეგ საქართველოს ნაკრებს (მთავარი მწვრთნელი ვასილ მაისურაძე) უკანდასახევი გზა მოეჭრა – მაისში ბაქოში გასამართ ფინალურ ტურნირში მოსახვედრად პირველ ან მეორე ადგილზე გასვლაა აუცილებელი, ხოლო საამისოდ დღეს და კვირას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, შესაბამისად, რუსებთან და ჩვენი ჯგუფის გამოკვეთილ ფავორიტ იტალიელებთან ბრძოლებში ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს.

დავძენთ, რომ „სკუადრა აძურას“ უახლოესმა ცვლამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 4:0 დაჯაბნა.

დღეს ითამაშებენ: საქართველო – რუსეთი (14 საათზე), იტალია – ბოსნია (16 საათზე).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კრივი

ხუთი მედალი ბაქოდან

აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, უკრაინის, ირანის, რუსეთის და ისრაელის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს საპრიზო ადგილებისთვის. ქართველთაგან გიორგი წიფურიამ (ფოთი, 60) ფინალში ირანელი რეზა კალანტარი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. მერაბ თურქაძემ (ქუთაისი, 56) ნახევარფინალში უკრაინელ ვლადისლავ ვეტოჩკინს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი ტრავმა მიიღო, მე-2 რაუნდში ორთაბრძოლა შეწყვიტა და მეორე ადგილს დასჯერდა. გიორგი გიორგაძემ (თბილისი, 75) ნახევარფინალში დავიდ ტიფლისსკი (ისრაელი) ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ფინალში მასპინძელ კამრან მამადოვთან ვერაფერს გახდა და ვერცხლის მედალი ხვდა. „ბრინჯაოს“ დაყაბულდნენ გიორგი დოლიაშვილი (გორი, 64) და გიორგი ხარაბაძე (ქუთაისი, 69), რომლებმაც ნახევარფინალები, შესაბამისად, ლორენცო სოტომაიორსა (აზერბაიჯანი) და სერგეი ბოგაჩუკთან (უკრაინა) დათმეს.

ლექსო ცინცაძე

◎ სამთო თხილამურები

ჰაწვალმა სლალომსაც უმასპინძლა

მესტიაში დასრულდა სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების მე-4 ეტაპი. ასპარეზობის მეორე დღეს ჰაწვალში ზურულდის ფერდობი სპეციალურ სლალომში (სტარტის სიმაღლე 2100 მ. ფინიშის სიმაღლე 1800 მ. ტრასის სიგრძე 700 მ. კარების რაოდენობა 44) მოასპარეზე 45 სპორტსმენს (მათ შორის ორი ირანელი – ანაჰიტა და მითრა რაჰიმები) დაეთმო. ასაკების მიხედვით კვარცხლბეკზე ავიდნენ:

გოგონები

2002-2003 წლებში დაბადებულნი. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 2.26,53), 2. ანა მაზნიაშვილი (ბაკურიანი, 2.58,00), 3. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 2.58,25); **2000-2001 წ.წ.** 1. კატო გოცირიძე (გუდაური, 2.15,44), 2. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 2.16,45), 3. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 2.18,90); **1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. მარიამ ჭკადუა (სვანეთი, 2.21,41), 2. სალომე კვიციანი (სვანეთი, 2.25,28), 3. ანაჰიტა რაჰიმი (ირანი, 2.28,34).

ვაჟები

2002-2003 წ.წ. 1. ალეკო ჯაფარიძე (სვანეთი, 2.29,00), 2. სანდრო ჩინჩალაძე (ბაკურიანი, 2.33,96), 3. პეტრე ხუციშვილი (თბილისი, 2.42,30); **2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 2.07,94), 2. გიორგი ქურდოღლიანი (ბაკურიანი, 2.15,74), 3. ლუკა გოშთელიანი (სვანეთი, 2.17,81); **1999 წ.** 1. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 2.10,28), 2. გოჩა ჯორბენაძე (აჭარა, 2.15,22), 3. ლაშა მეხეშიძე (აჭარა, 2.20,42).

გივი გაგუა

◎ სანთელი

მამუკა გომართელი

ამ ცოდვა-მადლით სავსე ქვეყანაში დღე არ გავა, რაიმე სამწუხარო ამბავი არ შევიტყოთ. სიცოცხლემ ფასი დაკარგაო, ამიტომაც გვესმის ასე ხშირად, მაგრამ ჩვენ საკუთარი იარა გვტკივა და მას ვერც დროის სრბოლა ახორცებს და ვერც იშვიათი სასიკეთო გამონათებები.

მამუკა გომართელისთვის არსთა გამრიგემ მხოლოდ 29 გაზაფხული გაიმეტა, მაგრამ ამ ჯანსაღი სულითა და სხეულით დაჯილდოებულმა ვაჟკაცმა იმდენი მოასწრო, დღესაც გულდათუთქული იხსენებს ყველა, ვისაც რაიმე სახის ურთიერთობა ჰქონია მასთან.

ბევრს საამაყოდ ჩვენი ძვირფასი „კიკიჩას“ სპორტული მიღწევებიც ეყოფოდა, მაგრამ ცურვაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საკავშირო ტურნირების არაერთგზის პრიზიორი, უპირველესად, იმ ადამიანური თვისებებით ფასობდა, ერთეულებს რომ გამოარჩევს.

ოჯახის, საახლობლოს, უბნისა და, საერთოდ, მოყვასთა თვალი „ცისფერ ბილიკებთან“ განშორების შემდეგაც სიკეთის ქმნის ეტალონად რჩებოდა. ალბათ, პროფესიით გეოლოგი ამიტომაც განსაკუთრებით ჩაიხუტეს „მორკინალის“ მესვეურებმა – ჯონი გიგანმა და ცხონებულმა ბესო ხარძიანმა, რაც მათი საყვარელი მეგობრის მარადიული ხსოვნისადმი სამაგალითო მოფრთხილებაში გამოიხატებოდა იმ მძიმე პერიოდში და გამოიხატება ამჟამადაც. მათს ამაგსაც უნდა ვუმადლოდეთ, ქალაქის ქუჩებში თავაწეული რომ დადის ღირსეული მამის ღირსეული შვილი მიშიკო გომართელი.

დღეს მამუკა გომართელს 50 წელი შეუსრულდებოდა. ნათელი და ცხონება, ძმაო!

გია პლატონიშვილი

◎ მინავლებული სინდისი გაელვიძა?!.

მონანიებული ნავარო

ამ დღეებში ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულმა და ღრმად მორწმუნე ერთმა ჩემმა ახლობელმა, რომელმაც მთხოვა მისი ვინაობა არ გამემჟღავნებია, მითხრა: ამერიკული ენ-დი-აის კანტორის უფროსი ნავარო დაახლოებით 2 თვის წინათ მართლმადიდებლად მოინათლაო. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ შორს დგას სენსაციურობიდან. სენსაციურია ის, რაც ბატონ ნავაროს განუცხადებია მისი მომნათლავი მამაოსთვის შეკითხვაზე, თუ რატომ ინათლებოდა მართლმადიდებლად. ამ მამამ კი ეს სენსაციური მიზეზი უამბო ზემოთ ნახსენებ ჩემს ახლობელს, რომელმაც მეც გამანდო მართლაც საოცარი და ყველა მართლმადიდებელი ქართველის სიამაყის მომგვრელი ნავაროს პასუხი:

მე 10 წელზე მეტია საქართველოში ვცხოვრობ. ვარ პირადად საქმის კურსში და მოწმე ყველა იმ უბედურებისა, რაც მართლმადიდებლურ საქართველოს თავს დაატეხეს მართლმადიდებლობის მოძულე გარეშე და შინაურმა მტრებმა. **მართლმადიდებლობის წასაშლელად აქ იმდენი მილიარდები დაიხარჯა, რომ საქართველოში დიდი ხნის წინათ უნდა ჩამკვდარიყო მართლმადიდებლობაცა და სახელმწიფოებრიობაც, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის ილია II-ის 90-პროცენტიან რეიტინგს ვერაფერი დააკლეს, პირიქით.** თავსდატეხილი ამდენი პროვოკაციებისა და უბედურების შემდეგ, საქართველო, როგორც მართლმადიდებლური სახელმწიფო, კვლავ მყარად რომ დგას ფეხზე, ეს არის მსოფლიო საოცრება და ღვთის ნება. **მე დავრწმუნდი, რომ საქართველო მართლაც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მას ღმერთი მფარველობს და ამიტომ გადავწყვიტე, მოვინათლო მართლმადიდებლად. უფრო მეტიც, მე გადავწყვიტე აქ, საქართველოს ჭეშმარიტად ღვთთ კურთხეულ მიწაში დავიმარხო და ამას ანდერძით დავიბარებო!**

აბო ტფილელიდან დაწყებული, ნავარო უცხოელებიდან არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც ირწმუნა, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი და ამიტომ ღმერთის მიერ კურთხეული ქვეყანა. ეს ირწმუნა რუსეთის ყველაზე დიდ წმინდანად შერაცხულმა სერაფიმ საროველმა, რომელმაც ანდერძად დაუბარა რუს ხალხს: საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ყოველთვის გვერდით დაუდექით და მასთან იმეგობრეთო. ღვთისმშობლის წილხვედრ და გამორჩეულ ქვეყნად მიიჩნევდა საქართველოს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა, რომელმაც სიკვდილის წინ ანდერძად დაიბარა: საქართველოდან ჩამოტანილი ქართული მიწა მოაყარეთ ჩემს საფლავსო. ასევე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად მიიჩნევდა საქართველოს რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი, სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II, რომელმაც სიკვდილის წინ ისურვა საქართველოს პატრიარქმა ილია II ამიგოს წესიო, რაც განხორციელდა კიდეც.

ახლა მინდა, მივმართო ფულზე გაწუწკებულ, მართლმადიდებლური საქართველოსა და მისი პატრიარქის გამუდმებული ლანძღვა-გინების ეშმაკისეული ბიზნესით გამდიდრებულ, ჩვენს ურწმუნო არასამთავრობოებს და ანტიქრისტე ცოდვილებს — სააკაშვილებს, ბოკერიებს, ჩერგოლეიშვილებს, თარგამაძეებს, თაქთაქიშვილებს, ნადირაშვილებს: შეჩერდით და მიაფურთხეთ ეშმაკს. დროა, იფიქროთ სულზე და არა ფულზე. ფული არც ნავაროს აკლდა, მაგრამ ფულს სული ამჯობინა. თუ ამერიკაში დაბადებულმა და გაზრდილმა ნავარომ ირწმუნა, რომ საქართველო ნამდვილად არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და აქ უნდა დაიმარხოს, თქვენ რა ღვთის მადლი გაგიწყრათ?

რით ვეღარ გაიგეთ საუკუნეების ქარტეხილებით დადასტურებული აქსიომა. რომ საქართველოში ქართველობა ნიშნავს მართლმადიდებლობას და მართლმადიდებლობა კი ქართველობას. საუკუნეების განმავლობაში ასე აღგვიქვამენ მტრებიც, მოყვარეებიც და ასე იქნება მუდამ, რადგან **საქართველო ჭეშმარიტად არის ღვთისმშობლის წილხვედრი და, აქედან გამომდინარე, მარადიული ქვეყანა. გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ საქართველოს ღმერთი იცავს და ღმერთს ბრძოლას ვერ მოუგებთ.** ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა საქართველოში თქვენი ბელადის სააკაშვილისა და მისი ახალი სახეობის კაციჭამია ცხოველების გუნდის 9-წლიანმა საერო-სარწმუნოებრივმა სისხლიანმა თარეშმაც კი ვერაფერი დააკლო სამშობლოს, ქართველობისა და მართლმადიდებლობის ყველა ქართველისათვის უწმინდეს ცნებებს. აი, რას წერდა ამის შესახებ მთაწმინდაზე განსვენებული დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე:

„საიდანაც არ უნდა შემოვკრათ ცული სამშობლოს უწმინდეს ცნებას, მისი ამოძირკვა ადამიანის სულიდან და ფსიქიკიდან შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ის ადამიანი არ იქნება. იმედი მაქვს, თუნდაც ჩემი ასაკის გამო, მე არ მომიწევს ამ ახალი სახეობის ცხოველებით დასახლებულ ქვეყანაში ცხოვრება“.

დიახ, ბატონი ოთარი 2006 წელს, ნაციონალების ზეობის ჟამს, ნაციონალებს მოიხსენიებდა „ახალი სახეობის ცხოველებად“. საბედნიეროდ, ნაციონალები ქართველი კლასიკოსების კითხვისგან შორს არიან და შერეკილ სააკაშვილს ეს ინტერვიუ რომ წაეკითხა, 2009 წელს გარდაცვლილ ოთარ ჭილაძეს მთაწმინდაზე დაასაფლავებდა კი არა, დასაფლავებულს ამოთხრიდა. სხვათა შორის, ამისი შიში სერიოზულად მაწუხებდა და 2012 წლამდე თავს ვიკავებდით ამ ციტატის საჯაროდ გამომზეურებისგან. **ალბათ, მართალიც ვიყავი, რადგან ეს სწორედ ის დრო იყო, როცა ნამუსზე ხელაღებული ნაციონალები უკან არაფერზე არ იხევდნენ.**

მაშ, ასე. ენ-დი-აის ამერიკული ინსტიტუტის უფროსმა ლუის ნავარომ უგანა ამერიკასა და დასავლურ ღირებულებებს, იწამა, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი მარადიული ქვეყანა და გადაწყვიტა, წმინდა ქართულ მიწაში ჰპოვოს მარადიული განსასვენებელი. ბრავო, ნავარო!

ანზორ საკანდელიძე

ღრმა გულისტკივილს გამოვხატავთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენს გამორჩეულ მეგობარს ავთნდილ (ზურაბ) ჩხაიძეს მეუღლის

მარიამ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის მეგობრების და კოლეგების სახელით
ვასილ დავითაია, მამუკა ნაჭყებია, მურად ანჯაფარიძე, შაძრო და რუზგენ ბერიშვილები.

ლია, ნელი ლომიძეები, ლიანა გოგატიშვილი-ლომიძე, გვანცა კუპრაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი და უსაყვარლესი ნათესავის, სათნო ქალბატონის

მარინე გაბრიჩიძე-ჩხაიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და მთელ ნათესაობას.

„ჯანმრთელობის ცენტრი“ სამძიმარს უცხადებს მარინა სოსელიას მეუღლის

ირაკლი გენძეხაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ალიან-ჩალიანი

წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს მე-4 განყოფილების საკონტროლო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად საქართველოდან სომხეთის მიმართულებით გასვლისას, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1961 წელს დაბადებული ჰუსეინ თ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება ანკარის ინტერპოლის მიერ 06.10.2015 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა. ჰუსეინ თ. დამნაშავედ არის ცნობილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252/1, 252/2, 53/1-a, b, c53/1-d-e, 43/1, და 62/1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც მექრთამეობას გულისხმობს.

ამჟამად ჰუსეინ თ-ს მიმართ კანონით გათვალისწინებული, წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

◎ კარიკატურისტის თვალით

ამირან ერაძის ნახატი.

◎ რას არ გაიგებ!..

ვინ იყო „ჩამორჩენილი“?

ამბობენ, რომ უმჯობესია, ბავშები ადრეული განვითარების ჯგუფებში მივაბაროთ, სადაც მათ წერა-კითხვას ლამის ორი წლიდან ასწავლიან. ჰოდა, რა გამოდის, რომ მათთან შედარებით ყველა დანარჩენი არასრულფასოვანი იქნება?

— არავითარ შემთხვევაში! — კატეგორიულად აცხადებენ ფსიქოლოგები და ამის დასტურად და საუცხოო მაგალითებად აღიარებულ გენიოსებზე გვიამბობენ, რომლებიც ადრეულ განვითარებას ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ.



1. ალბერტ აინშტაინი. ფარდობითობის თეორიის შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი. იგი 3 წლამდე არ ლაპარაკობდა, 7 წლამდე ენას უკიდებდა. ექიმები ეჭვობდნენ, რომ ის გონებრივად ჩამორჩენილია.



2. თომას ედისონი. ხმის ჩაწერისა და ელექტრული ნათურის გამომგონებელი. ოთხი წლის სწავლების შემდეგ დედამისს მისი, როგორც გონებაჩამორჩენილი ბავშვის, სკოლიდან გაყვანა ურჩიეს.

3. ვლადიმერ მაიაკოვსკი. მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი. მას დისლექსია სჭირდა — კითხვა კი იცოდა, მაგრამ გამართულად წერის შესწავლა ვერაფრით შეძლო და ლექსებში სასვენ ნიშნებს ოსიპ ბრიკუ სვამდა.

4. კონსტანტინე ციოლკოვსკი. თეორიული კოსმონავტიკის ფუძემეველი. გიმნაზიიდან გარიცხეს როგორც... გონებაჩამორჩენილი ბავშვი, რომელსაც ელემენტარული ამოცანების გამკლავების უნარიც არ შესწევდა.

5. ისააკ ნიუტონი. კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთი შემქმნელი. იგი შვიდთვიანი დაიბადა, ფეხი გვიან აიდგა, ლაპარაკის დაწყებაც გაუჭიანურდა. გარკვეული ხნის მანძილზე მას გონებასუსტადაც მიიჩნევდნენ.

◎ მყარდება...

ერთი დოლარის ოფიციალური ფასი 2.3240 ლარი გახდა

ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში კიდევ რამდენიმე პუნქტით გამყარდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი დოლარის ოფიციალური ფასი 2.3240 ლარი გახდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.5771 ლარად იქნება შესაძლებელი.

„ბედნიერების ინდექსში“ 126-ე „უბედურ“ ადგილზე ვართ!

ბაერო „ბედნიერების ინდექსს“ აქვეყნებს. გამოქვეყნებულ მოხსენებაში საუბარია იმაზე, თუ რამდენად ბედნიერად და უზრუნველყოფილად მიაჩნია თავი დედამიწის მოსახლეობას. ავტორების შეფასებით, 156 ქვეყანას შორის, ყველაზე ბედნიერი ადამიანები დანიაში ცხოვრობენ. საქართველო ბედნიერების ინდექსში 126-ე ადგილზეა. ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია, საქართველო განას, კონგოსა და სენეგალის თანაბარწილ ბედნიერ ქვეყანად არის მიჩნეული.

საქართველოს უსწრებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნები – **უზბეკეთი** (49-ე ადგილი), **ყაზახეთი** (54), **მოლდოვა** (55), **რუსეთი** (56), **ლიტვა** (60), **ბელარუსი** (61), **თურქმენეთი** (65), **ლატვია** (68), **ესტონეთი** (72), **აზერბაიჯანი** (81), **ყირგიზეთი** (85), **ტაჯიკეთი** (100), **სომხეთი** (121), **უკრაინა** (123).

რეიტინში მეორე ადგილზეა **შვეიცარია,** რომელიც გასულ წელს პირველ ადგილზე იყო. უნდა აღინიშნოს რომ ათეულში ძირითადად სკანდინავიის ქვეყნები არიან წარმოდგენილნი – **ისლანდია** (3), **ნორვეგია** (4), **ფინეთი** (5), **შვედეთი** (10). ათეულში ასევე არიან **ჰოლანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია.**

◎ კაკალ გულში

ამდენი სექსის შემყურე, ლარიც გამაგრდა!

● რა დრო დადგა, კასეტა ვეღარ გაგიყიდია...

● ჯერ ფარული ჩანაწერი გაჩნდა.

მერე რექტორის კაბინეტი აიღეს იერიშით.

ამასობაში ტელევიზიებში ნინო ლაპიაშვილმაც გაიელვა.

ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

მოგელაძე რომ გამოჩნდება, უკვე გვიანი იქნება.

● ბაია გადაბაძე: მაქვს ინფორმაცია, რომ ლევან გაჩეჩილაძე ძალით აპირებს შემოსვლას და ტექნიკის წაღებას...

ბაია, არა უშავს, მთავარია, თქვენი ღირსება და სინდისი ქუზეი ღლონტი გადამალეთ!!!

● კარასინს აბაშიძე მილიონჯერ შეხვდა, ბევრი ელაპარაკა, მაგრამ, მგონი, არც დაულევიათ. ფორმატი უნდა შევცვალოთ, კარასინი-კორკოტას ფორმატზე რას მეტყვით?მერე ნახეთ, ვიზებსაც მოხსნიან, აფხაზეთსაც დააბრუნებენ და სოჭსაც სამუდამჟამოდ!!!

● მთელი სანაცეთი ივანიშვილს რომ ლანძღავს და ყველა არხზე ეგენი არიან, ოცნების ხალხი სადა ხართ?!

რას გასუსულხართ? ვისით სხედხართ მაგ სკამებზე, ხომ არ დაგავიწყდათ?!!

ხმა ამოიღეთ, თორემ ხალხს ჰგონია, რომ ყველას რაღაც გაგქვთ მიქარული და კადრებისა გეშინიათ!!!

● ამდენი სექსის შემყურე ლარიც გამაგრდა!

● გედეერის ოდეერები იყო ყველაზე მაგარი, ახლანდელები ბანძია ყველა. ჯერ თურქულები შემოყარეს, მერე ჩინელებმა გახსნეს ნავთლუღის ბაზართან ოდეერების მაღაზია. სამცალს ლარად ჰყიდიან.

● ასეთი უგუნური მედია ჩრდილო კორეას და სუდანის ჯანჯავიტების რეჟიმებსაც არა აქვთ, გადავირიე უკვე... პროკურატურა ამბობს, ის ხალხი სულ სხვა რამეზე დავიჭირეთო და ესენი კიდე დილიდან მკითხაობენ, ადვოკატმა ატვირთა კადრები თუ კუდის ყოფილმა თანამშრომელმა, თან ისე რომ, ამ ადამიანების არც უდანაშაულობის პრეზუმფციას და არც ოჯახის პირად ცხოვრებას არ უფრთხილდებიან... ტაშიიი...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ყურის ბიბილოს საოცრება

ყურებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის აცილება თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი, ადამიანები მათ სწორად რომ უვლიდნენ.

ყურების ჰიგიენაში მთავარია მათი ბუნებრივი დაცვის სიმრთელის დაცვა. სმენის არხის კანში გოგირდის ჯირკვლებია, რომლებიც საგანგებო ნივთიერებას გამოყოფენ, რომელიც გარედან შეჭრილ ინფექციას განვითარების საშუალებას არ აძლევს. კანის ბუსუსებს კი ეს ნივთიერება გარეთ გამოაქვთ. იმისათვის, რომ ეს ბუსუსები არ დააზიანოთ, ყურები ბამბის ჩხირებით კი არ უნდა გაიწმინდოთ, არამედ გამოიბანოთ!

თუკი ყურში რაღაც საგანი მოხვდება, ნუ ეცდებით მის თითებით, ქინძისთავით, პინცეტით და რომელიმე სხვა საგნით ამოღებას. ამ შემთხვევაში აუცილებლად მიმართეთ ექიმს! ხოლო თუ ყურში ქინქლი ან კოღო შეგიძვრათ, მის ნიჟარაში მცენარეული ზეთი ან არაყი ჩაისხით, რომელიც მას გამოიტანს. თუ ასე არ მოხდა, მაშინაც ექიმს უნდა მიმართოთ.

დიდი ყურადღებაა საჭირო ახალგაზრდებში ამჟამად დიდად მოდური პირსინგის გაკეთებისას. გახსოვდეთ, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლება არასანდო პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია ინფექციის შეტანის, უხეში კელოიდური ნაიარევის დამჩნევისა და ლითონებზე ალერგიის მიღება.

ძველი ჩინური მედიცინის თანახმად, ყურის ბიბილოში ასზე მეტი ბიოლოგიურად აქტიური წერტილია განლაგებული, რომლებიც სხეულის სხვადასხვა ნაწილსა და ორგანოზე განსაკუთრებით კი თვალებზე, ცხვირსა და ყელზეა პასუხისმგებელი. ამიტომაც „სხვაგან მოხვედრის“ შემთხვევაში შეიძლება საკმაოდ სერიოზული პრობლემების მიღება.

ან სიყვარული, ან ალკოჰოლი!

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ჩატარებული კვლევის შედეგად დასკვნა გამოიტანეს, რომ ინტიმური ურთიერთობების დროს ორგაზმის შემდეგ პარტნიორები ერთმანეთს თავიანთ ყველაზე სანუკვარ აზრებს ანდობენ.

სექსის შემდეგ სიყვარული ჰორმონ ოქსიტოცინის მოჭარბება ქალსაც და კაცსაც პოზიტიურ ხასიათზე განაწყობს. ორგანიზმში ოქსიტოცინის მაღალი დონე ადამიანში დაძაბულობას ამცირებს და სტრესის ჰორმონის კორტიზოლის შემცველობის კლებას იწვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინტიმური ურთიერთობების მერე ადამიანები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ ვითარება საპირისპიროდ იცვლება იმ შემთხვევაში, თუკი სექსამდე რომელიმე პარტნიორმა ალკოჰოლი მიიღო, ინტიმური აქტის შემდეგ მან პარტნიორს, შესაძლოა, ისეთი რამ გაანდოს, რის გამხელასაც არ აპირებდა, ანდა, უნებლიეთ, აწყენინოს მას.

ამიტომაცაა, სექსის და ალკოჰოლის შეხამება გაცილებით ხშირად ხდება ცოლ-ქმრული ჩხუბის მიზეზი, ვიდრე, ასე ვთქვათ, „უალკოჰოლო სექსის დროს“.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ძალთა მოდგმის დამარცხება კაცობრიობის ძალას აღემატება. საკუთარი ყურით გაგონილს გიყვებით: 6-7 გოგონა თანატოლ ბიჭს ატირებული უყვიროდა: „მომეცი... მომეცი! ეს შენი კანფეტი არ არის! შენი კანფეტი მე უკვე შევჭამე!..“

* * *

თუკი დილით ცოლი გაღვიძებთ სიტყვებით: „გაიღვიძე, ძვირფასო, ყავა და ფუნთუშები მიირთვი!“, მაშასადამე:

ა) თქვენ საყვარელთან დაგეძინათ;

ბ) თქვენ ჯერ კიდევ გძინავთ;

გ) წინა დღით ცოლს „ლუი ვიტონის“ ჩანთა უყიდეთ;

დ) სადილს სიდედრი მოგართმევთ, რომელიც სოფლიდან ერთი თვით გესტუმრათ;

ე) ღამე მამაკაცობის „კლასი“ აჩვენეთ;

ვ) წინა ღამით შინ მაგარი შეზარხოშებული მიხვედით და როცა ცოლმა ტანზე გახდა დაგიპირათ, ხელი აუქნიეთ და უთხარით: „მოშორდი, ცოლიანი ვარ!“

ზ) გარეთ წვიმს და ძაღლია გასასეირნებელი;

თ) თუკი თქვენი სიცოცხლე დაზღვეულია, შეამოწმეთ, ხომ არ ასდის ყავას ანტიფრიზის სუნი.

მარომ თავისი ქმარი მიხო ინტერნეტით იპოვა, ახლა ბავშვებთან ერთად ინტერპოლით ეძებს.

* * *

– **მამიკო**, მამიკო, მოდი, დავიღალე, მე მაგ ბოთლს წამოვიღებ, შენ კი ჩემი დაიკო აიყვანე!

– გაგიჟდი, ტუტუცო, ხელიდან რომ გაგივარდეს?

* * *

– **ალო**, მორგია? მე ჭიჭიკია ვარ, ჭიჭიკია. ჩემი ცოლი თუ დარეკავს, უთხარით, ყველაფერი რიგზეა, ჭიჭიკია ცოცხალია და თავსაც კარგად გრძნობს-თქვა! გეიგეთ?!.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!